# ქუჯი

„... და მაშინ განიხარონ ყოველთა ქართველთა“

გაზეთის გამოსვლის დღე – ოთხშაბათი

№9. 2001წ. ფასი 40 თეთრი

2001 წლის 9 აპრილს ქ. თბილისში დილის 3 საათზე მთავრობის სახლის წინ შეიკრიბნენ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოსა და საქართველოს პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა „მრგვალი მაგიდის“ წევრები; შეკრებილთ პატივი მიაგეს 9 აპრილის გმირებს; დილის 5 საათზე საზოგადოება მოკლე სიტყვით მიმართა „მრგვალი მაგიდის“ სპიკერმა ქ-ნმა მანანა არჩვაძე-გამსახურდიამ. დღის 12 საათზე „კოლხურ კოშკში“ ჩატარდა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესიის მორიგი სხდომა დღის წესრიგით:

1. 1991 წლის 9 აპრილის „საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის“ ისტორიული მნიშვნელობის შესახებ (მომხსენებელი: საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მეცნიერების, განათლების და კულტურის მუდმივი კომისიის თავმჯდომარე – ზურაბ ძონენიძე)

2. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოსა და საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის მიმართვა საქართველოს რესპუბლიკის მოსახლეობისადმი (მომხსენებელი: საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე – დავით გოგაძე)

სესიის მონაწილეებს წერილით მიესალმა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე ხელმომწერი, საქართველოს ეროვნული გმირის მერაბ კოსტავას დედა ქალბატონი ოლღა დემურია-კოსტავა, რომელსაც აქვე გთავაზობთ:



შევარდნაძემ 9 აპრილი გლოვის დღედ გამოაცხადა!

9 აპრილი რუსეთის იმპერიასთან ბრძოლაში საქართველოს სულიერი გამარჯვებისა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის დღეა! რატომ აცხადებს შევარდნაძის ფაქტობრივი ხელისუფლება 9 აპრილს გლოვის დღედ? დიდგორშიც ხომ დაიღუპნენ ქართველები?! გამოვაცხადოთ 12 აგვისტო გლოვის დღედ?

1989 წლის 9 აპრილს უპრეცენდენტო გმირულ ბრძოლაში დაიღუპნენ ტანკებს წინაღმდგარი ქართველები და არა შემთხვევით კატასტროფასა თუ ჭყლეტაში! 1991 წლის 9 აპრილის „სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის“ საფუძველზე ცნო მთელმა მსოფლიომ საქართველოს დამოუკიდებლობა!

9 აპრილი საქართველოს გამარჯვების დღეა!!!

რომან ბარტი: „მოახდინეთ რევოლუცია, გაანადგურეთ ძალაუფლება. სულ ერთია, ის კვლავ აღსდგება და აყვავდება საგანთა ახალ მდგომარეობაში...“
გვ. 7

ნუ მისცემთ რუსეთს საქართველოს გადაყლაპვის საშუალებას
გვ. 4

ღია წერილი ადვოკატ ზურაბ ტაბიძეს
გვ. 6

როგორ დავიხსნათ თავი მილიარდობით ვალისგან?

„მემორანდუმის“ სახით გამოქვეყნდა დოკუმენტი, რომელსაც ვერც ერთი პატიოსანი პოლიტიკური ძალა გვერდს ვერ აუვლის...
გვ. 2



მანანა არჩვაძე-გამსახურდია: „ჭოჭუაშვილის საკითხის ჩემთან მიმართებაში განხილვა ნამდვილად დიდი შეურაცხყოფაა ჩემთვის, იგი ჩემი მეგობარი არც ყოფილა და ვერც იტყვის ამას“
გვ. 3

პოლიტპატიმრობა-გამოვლილი პატრიოტი გოჩა მახვილაძე: „რამდენიმე კაცი ადგილზევე მოკლეს, დანარჩენი დააპატიმრეს და 6 კაცი გაუსამართლებლად დახვრიტეს...“



გვ. 6

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრი ალექსანდრე ჟღენტი:



გვ. 5

„მიმდინარეობს დიდი სამამულო საინფორმაციო ომი, რომელშიც უნდა გავიმარჯვოთ. შემომაქვს წინადადება თქვენი გაზეთის ფურცლებზე გაიხსნას ახალი რუბრიკა „სოლომონ ლიონიძის კლუბი“

ქუჯი №9 2001

# საქართველოში ორხელისუფლებიანობისა და საქართველოს პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა "მრგვალი მაგიდის" 2000 წლის 9 აპრილის „მემორანდუმის" შესახებ

1921 წლიდან 1990 წლის 28 ოქტომბრამდე საქართველოში იყო ორხელისუფლებიანობა: კერძოდ, იურიდიულად არსებობას განაგრძობდა ნოე ჟორდანიას ხელისუფლება, ვინაიდან „დემოკრატიულ მთავრობას" კაპიტულაციაზე ან თვითლიკვიდაციაზე ხელი არ მოუწერია, ხოლო ამავე დროს საქართველოს ფაქტობრივად მართავდა წითელი რუსეთის მიერ პუტჩით დასმული ორჯონიკიძის ხუნტის მემკვიდრე საბჭოთა ხელისუფლება.



ბატონი ზვიად გამსახურდია 1990 წლის 14 ნოემბერს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პირველ სხდომაზე აცხადებდა:

„საქართველოს დემოკრატიულ მთავრობას, მიუხედავად საქართველოს ანექსიისა, 1921 წელს კაპიტულაციაზე ხელი არ მოუწერია და ამის გამო დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფო და მისი კონსტიტუცია, იურიდიული თვალსაზრისით, დღესაც განაგრძობს არსებობას, მიუხედავად იმისა, რომ კონსტიტუციის მოქმედება დროებით შეჩერდა ანექსიის შედეგად. საქართველოს ტერიტორია იურიდიულად კვლავ ერთიანი და განუყოფელია, მასზე არ მოქმედებს არც ერთი უცხო ქვეყნის კონსტიტუცია. საბჭოთა კონსტიტუცია, ჩვენი თვალსაზრისით, მხოლოდ ფაქტობრივად მოქმედებდა".

ე.ი. ვინაიდან 1990 წელს *ფიზიკურად აღარ არსებობდა* ჟორდანიას დროინდელი საკანონმდებლო ორგანოს პერსონალური შემადგენლობა, ეროვნულმა მოძრაობამ დიდი ძალისხმევით დე ფაქტო პარლამენტს მიაღებინა არასაბჭოთა და მრავალპარტიული საარჩევნო სისტემის შესაბამისი კანონი. თავისუფალ და დემოკრატიულ არჩევნებში გამარჯვებულმა ზვიად გამსახურდიას პოლიტიკურმა ბლოკმა „მრგვალმა მაგიდამ" ქვეყანაში გამოაცხადა გარდამავალი პერიოდი და 1991 წლის 31 მარტს დანიშნა საყოველთაო რეფერენდუმი ცნობილი კითხვით - გსურთ თუ არა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა 1918 წლის „დამოუკიდებლობის აქტის" საფუძველზე? საქართველოს მოსახლეობამ ამ კითხვაზე დადებითი პასუხით მხარი დაუჭირა ნოე ჟორდანიას ხელისუფლების სამართალმემკვიდრეობის ფაქტობრივ აღდგენას. ე.ი. 1991 წლის რეფერენდუმით საქართველოში დამთავრდა ორხელისუფლებიანობის დიდი პერიოდი; თუმცა, იმპერიისაგან მართულმა პარტიებმა და პიროვნებებმა ე.წ. კონგრესის არჩევნების ორგანიზებით მაშინვე დაიწყეს საქართველოს შეყვანა ხელახალ ჩიხში. იმხანად მათ ეს არ გამოუვიდათ: ზვიად გამსახურდიას ხელისუფლებამ წარმატებით გააგრძელა აღებული კურსი და ჯერ რუსეთის იმპერიისგან დამოუკიდებლობა გამოაცხადა 9 აპრილს, შემდეგ კი, როცა რუსეთთან მოლაპარაკებამ შედეგი არ გამოიღო, იმპერიის სამხედრო შენაერთებს საოკუპაციო ჯარის სტატუსი მიანიჭა.

იმხანად დასავლეთს აღმოსავლეთ ევროპისა და ბალტიისპირეთის საკითხი უფრო აინტერესებდა, ვიდრე ამიერკავკასიისა და უკრაინისა; ამით ისარგებლა რუსეთმა და ე.წ. ქართველ კონგრესმენებზე, კრიმინალებსა და კომუნისტებზე დაყრდნობით საქართველოში ამ საუკუნეში უკვე მეორედ მოაწყო პუტჩი; ამგვარად, 1992 წლის 2-6 იანვრიდან საქართველოში კანონიერი ხელისუფლების პარალელურად დაფიქსირდა სამხედრო ხუნტა, რომელმაც საქართველოდან იარაღის ძალით განდევნა კანონიერი ხელისუფლება და ძალაუფლება ხელში ჩაიგდო; სამხედრო ხუნტამ მისი დამხმარე საოკუპაციო ჯარი მეგობარი ქვეყნის ჯარად გამოაცხადა. პუტჩისტები შეეცადნენ კანონიერი ხელისუფლების საკანონმდებლო ორგანოს - უზენაესი საბჭოს ხელში ჩაგდებას; ზოგი დეპუტატი ფიზიკურად გაანადგურეს, ხოლო ზოგის დაშინებითა თუ მოსყიდვით სცადეს სესიის მოწვევა. დეპუტატთა დიდი ნაწილი საქართველოს დამოუკიდებლობის ერთგული დარჩა და 1992 წლის მარტში ქალაქ გროზნოში ჩაატარა ისტორიული სესია; ამ სესიით კანონიერმა ხელისუფლებამ ფუნქციონირება დაიწყო დევნილობაში და უკანონოდ გამოაცხადა ხუნტა და მისი მემკვიდრე ყველა ხელისუფლება.

1993 წელს დასავლეთ საქართველოში დაიწყო კანონიერი ხელისუფლების ფაქტობრივი აღდგენის პროცესი, მაგრამ ისევ რუსის ჯარის, შიგაგამცემლების გამოყენებით და ცრუ არჩევნებით დე ფაქტო ხელისუფლებამ დღემდე შეინარჩუნა ძალაუფლება.

ფაქტობრივი ხელისუფლება დღემდე ნიადაგ ცდილობს კანონიერი ხელისუფლების ლიკვიდაციას: ამჟამად დეპუტატთა ფიზიკურ განადგურებას ჯერ-ჯერობით ვეღარ ბედავენ, მაგრამ ერთ ნაწილს დეპუტატობის სტატუსს აკარგვინებენ პარლამენტარის სკამის შეთავაზებით, უკანონო სახელმწიფო სტრუქტურებში მიწვევითა თუ სხვა ხერხებით; მაგალითად, დიდი რეკლამა უკეთდება „მრგვალი მაგიდის" დეპუტატთა თუ კანონიერი მთავრობის წევრთა (უკვე ყოფილ წევრთა!) მონაწილეობას ხუნტის მემკვიდრე უკანონო არჩევნებში, ან კიდევ, ბოლო ფაქტი: მავანნი რა განსაკუთრებული ინტენსიურობით უბიძგებენ ყოფილ პოლიტპატიმრებს ალიანსში შევიდნენ დე ფაქტო პარლამენტის ფსევდოოპოზიციურ ფრაქციებთან? ასეთ შემთხვევაში ისინი - სიტყვით ზვიად გამსახურდიას მომხრენი - საქმით უკანონო ხელისუფლების სამსახურში ჩადგებიან, შეეგუებიან რა პუტჩისტურ „სამართლებრივ" სივრცეს და წავლენ უკანონო არჩევნებზე...

ქართველი ერის საბედნიეროდ, უზენაესი საბჭოს დეპუტატთა საკმარისი რაოდენობა დღემდე ღირსეულად ინარჩუნებს უზენაესი საბჭოს საკანონმდებლო ბაზას და მის სტრუქტურებს; იცავს რა ზვიად გამსახურდიას პოლიტიკურ ანდერძს, უკვე 1998 წლის ნოემბრიდან უზენაესი საბჭო დროდადრო იკრიბება და სიმბოლურად სწორედ კოლხურ კოშკში მართავს თავის სხდომებს. შემთხვევითი არ არის, რომ საქართველოს პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას კურსის მემკვიდრეთა პოლიტიკური ცენტრი კოლხური კოშკია.

**არსებული პოლიტიკური, ეკონომიკური და ზნეობრივი კრიზისიდან საქართველოს იხსნის საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სამართალმემკვიდრე, საყოველთაო და დემოკრატიული არჩევნების დანიშვნა და ჩატარება; მხოლოდ ამ გზით მოხდება უმტკივნეულოდ კანონიერი ხელისუფლების საკანონმდებლო ბაზის აღდგენა-გაგრძელება და უკანონო ხელისუფლების დამაკაბალებელი ხელშეკრულებების გადასინჯვა**

ამგვარად, საქართველოში დღესაც ფაქტობრივი ორხელისუფლებიანობაა: 1990 წლის ვითარებისგან განსხვავებით, დღეს კანონიერი ხელისუფლების საკანონმდებლო ორგანოს პერსონალური შემადგენლობა ცოცხალია და მუშაობას განაგრძობს; შესაბამისად, საქართველოს მოსახლეობას ჯერ-ჯერობით არ დასჭირდება ახალი რეფერენდუმის ჩატარება კანონიერი ხელისუფლების სამართალმემკვიდრეობის აღსადგენად, იმ სამართალმემკვიდრეობისა, რომლის საფუძველზე საქართველო იოლად დაიხსნის თავს უკანონო მთავრობის მიერ დადებული მრავალი ხელშეკრულებისა და მის მიერვე აღებული მილიარდობით ვალებისაგან.

გასულმა 9 წელმაც ნათლად აჩვენა, რომ სანამ საქართველოში ორხელისუფლებიანობაა, მანამ არ დაიწყება ქვეყნის აღმშენებლობა. უკანონო ავტონომიებს უკანონო თავისუფალი ეკონომიკური ზონები დაემატება; უკან და უკან წავა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერება, მეცნიერების, კულტურისა და ეკონომიკის საქმე... უკან წავა იმიტომ, რომ ხუნტის მემკვიდრე ხელისუფლება ყოველთვის და ყველგან თვითგადარჩენასა და თვითდამკვიდრებას ახმარს სახელმწიფო რესურსებს; ხალხის მიერ არჩეულ ხელისუფლებას კი არა აქვს რეალური ძალაუფლება... გარდა ამისა, სანამ საქართველოში ორხელისუფლებიანობაა, მანამ არსებობს შესაძლებლობა, კანონიერების აღდგენის მოთხოვნით გამოვიდნენ შეიარაღებული გმირები თუ პროვოკატორები და ქვეყანაში სისხლისღვრის მორიგი ეტაპები დაიწყოს. სანამ ჩვენი მეზობელი რუსეთის იმპერიაა, საქართველოს ერთგული კანონიერი ხელისუფლების მომხრეები იარაღით ვერასოდეს გაიმარჯვებენ...

საქართველოს პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა „მრგვალმა მაგიდამ" კარგად გააცნობიერა არსებული სინამდვილე და 2000 წლის 9 აპრილს მემორანდუმის ფორმით გამოაქვეყნა თავისი პოზიცია ქვეყნის გადასარჩენად.

მემორანდუმი, ფაქტობრივად, მიმართვაა საქართველოს მოსახლეობისადმი, საქართველოში არსებული პოლიტიკური ორგანიზაციებისადმი, დე იურე და დე ფაქტო ხელისუფლებისადმი, აგრეთვე, საერთაშორისო საზოგადოებრიობისა და სხვა ქვეყნებისადმი.

„მემორანდუმის" ავტორები ვაცხადებთ, რომ არსებული პოლიტიკური, ეკონომიკური და ზნეობრივი კრიზისიდან საქართველოს იხსნის საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სამართალმემკვიდრე, საყოველთაო და დემოკრატიული არჩევნების დანიშვნა და ჩატარება; მხოლოდ ამ გზით მოხდება უმტკივნეულოდ კანონიერი ხელისუფლების საკანონმდებლო ბაზის აღდგენა-გაგრძელება და უკანონო ხელისუფლების დამაკაბალებელი ხელშეკრულებების გადასინჯვა.

„მემორანდუმში" ჩამოყალიბებულია, აგრეთვე, „მრგვალი მაგიდის" სტრატეგიისა და ტაქტიკის ძირითადი მომენტები, კერძოდ:

ა. „მრგვალი მაგიდა" მხოლოდ მშვიდობიანი ფორმებით იბრძოლებს კანონიერი ხელისუფლების აღდგენისათვის;

ბ. „მრგვალი მაგიდა" დიალოგში ჩაებმება ყველა იმ პოლიტიკურ ძალასთან, რომელსაც პოლიტიკური მიზნების მისაღწევად არასოდეს უბრძოლია იარაღით, მით უმეტეს, მონაწილეობა არ მიუღია პუტჩში;

გ. „მრგვალი მაგიდა" ითანამშრომლებს მხოლოდ იმ პოლიტიკურ ძალებთან, ვინც აღიარებს საქართველოში არსებულ ორხელისუფლებიანობას და მხარს დაუჭერს უზენაესი საბჭოს სამართალმემკვიდრე არჩევნების დანიშვნას...

ბოლოს, რამდენიმე სიტყვით, „მემორანდუმის" შექმნის ისტორიის შესახებ:

„მემორანდუმის" ტექსტი მომზადდა საქართველოს ჰელსინკის კავშირის ქუთაისის ორგანიზაციაში. იგი წარედგინა კავშირის თავმჯდომარეს, ქ-ნ მანანა არჩვაძე-გამსახურდიას. კავშირის თავმჯდომარემ გარკვეული დაზუსტების შემდეგ „მემორანდუმი" განსახილველად გა-



იტანა „მრგვალი მაგიდის" სხდომაზე; „მრგვალი მაგიდის" მიერ დამტკიცებული „მემორანდუმის" ტექსტი გამოქვეყნდა პრესაში და დაურიგდა საქართველოში არსებულ პოლიტიკურ ორგანიზაციებს. „მემორანდუმზე" ხელი მოაწერა ბევრმა ორგანიზაციამ, მაგრამ ეს ხელმოწერები ჯერ-ჯერობით საქმით არ დადასტურებულა; ვფიქრობთ, რაც უფრო მალე გაიზიარებს ამ პრინციპებს საქართველოს პოლიტიკური სპექტრი, მით მალე დაიწყება ქვეყნის აღმშენებლობა...

ამჟამად ერთი რამ კი დანამდვილებით შეიძლება ითქვას: მანანა არჩვაძე-გამსახურდიას ხელმძღვანელობით საქართველოს პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა „მრგვალმა მაგიდამ" მემორანდუმის სახით გამოაქვეყნა დოკუმენტი, რომელსაც ვერც ერთი პატიოსანი პოლიტიკური ძალა გვერდს ვერ აუვლის და რომელიც დიდ როლს შეასრულებს საქართველოს მომავალ პოლიტიკურ ცხოვრებაში.

***ტარიელ ფუტკარაძე***

*31 მარტი, 2001 წელი*

*შენიშვნა: წაკითხულ იქნა 2001 წლის 31 მარტს ქ. თბილისში საქართველოს რესპუბლიკის საერთო-სახალხო რეფერენდუმის ჩატარების 10 წლისთავისა და საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას დაბადების 62 წლისადმი მიძღვნილ სხდომაზე.*

# მანანა არჩვაძე-გამსახურდია:

(დასაწყისი იხილეთ წინა ნომერში)

მოგეხსენებათ, ზოგმა ქალმა მართლაც დაუშვა ისეთი შეცდომები, რომ მისი მეუღლე დაემონა იმ ავადსახსენებელ ორგანიზაციებს სწორედ იმის გამო, რომ არ გახმაურებულიყო ოჯახის ამბები. ასე რომ, ოჯახის ამბები სახელმწიფო დონეზეა აყვანილი. ქალზე და მეუღლეზე ძალიან ბევრია დამოკიდებული. ეს ყველამ ძალიან კარგად ვიცით. ჩვენ ტრადიციული ქვეყანა ვართ, საერთოდ, კავკასია ძალიან დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ქალს მამაკაცთან მიმართებაში და მე მიმაჩნია, რომ კავკასიელი ქალი და ქართველი ქალი არც ერთ შემთხვევაში არ ისურვებს მამაკაცზე მბრძანებლობას, მით უფრო, თუ მას მამაკაცი უყვარს... ამრიგად, სრულიად გამიზნულად დაიწყო კამპანია ჩემს წინააღმდეგ; ამტკიცებდნენ, რომ მე ვერეოდი ზვიად გამსახურდიას საქმეებში, ვნიშნავდი ხალხს... ზვიად გამსახურდია ბავშვობიდან ემზადებოდა ამ საქმისათვის, საქართველოს დამოუკიდებლობისათვის, მერაბ კოსტავასთან ერთად. და სად ვიყავი მე მაშინ? ზვიად გამსახურდიას ჩემი დარიგება არაფერში არ სჭირდებოდა; ჩემგან მას სჭირდებოდა ერთადერთი რამ – ერთგულება, ულალატობა, რაც ჩვენი ურთიერთობის აუცილებელი მახასიათებელი გახლდათ კიდეც. მე მხედველობაში მაქვს ჩემი დიდი ოჯახიც, რომელშიც მე გავიზარდე და შემდგომ უკვე შევდგი ფეხი ქმრის ოჯახში, როგორც დიასახლისმა. არც ერთი თავმოყვარე ქალი, მე პიროვნულად ასე მიმაჩნია, არ იკადრებს იმას, რომ თავის ქმარს რაიმე უბრძანოს. მორჩილი და დამონებული ქმარი კი არა, პატარა ბავშვი არ უნდა ადამიანს. ჩემთვის საერთოდ მიუღებელია ოჯახის ინტიმურ, კერძო საკითხებზე ასე სახალხოდ მსჯელობა. აღშფოთებას იწვევს ის, რასაც დღეს ამ მხრივ პრესაში ვხედავ. თუ თანამედროვეობის თვალსაზრისია ის, რომ ეს ინტიმური ურთიერთობები გამომზეურებული იყოს ყველას წინაშე, ძალიან სამწუხაროა. სწორედ იმისათვის შეიქმნა ეს დიდი ოჯახის ინსტიტუტი, რომ მას გავუფრთხილდეთ და პატივი ვცეთ. ოჯახი ურთულესი რამ გახლავთ და თუ ჩვენ ამას ისე გამოვამზეურებთ და გამოვფენთ, რომ ყველას შეეძლება მიუღებელი და უხამსი ხელი შეახოს, ეს უდიდესი შეურაცხყოფა იქნება ოჯახისა. ამგვარი რამ სავსებით მიუღებელია ჩემთვის.

*– თქვენ, უდავოდ, გიწევდათ ანგარიში თქვენი მეუღლე, როგორც უაღრესად ინტელექტუალურსა და ღრმა ადამიანს და, რამდენადაც მე ვიცი, თქვენ მასთან რამდენიმე წელს თანამშრომლობდით კიდეც ქორწინებამდე.*

– დიახ, ოთხი წელი...

*– და სწორედ ამის გამოც შეიძლება მუხირებს ეს აზრი, რომ თქვენ გარკვეულ რეკომენდაციებს აწვდიდით მეუღლეს. მე ვფიქრობ, რომ ამაში არც გასაკვირი უნდა იყოს რაიმე და არც საძრახისი, თუკი ამას წინასწარგამიზნულად არ შეეცდება ვინმე.*

– რასაკვირველია, მე თვითმხილველი და მონაწილე ვარ უმნიშვნელოვანესი მოვლენებისა, მაგრამ ხაზგასმით ვიმეორებ, ზვიად გამსახურდიას ჩემი რეკომენდაციები ნამდვილად არ სჭირდებოდა. ისე კი, ცხადია, ჩახედული ვიყავი პროცესებში თავიდან ბოლომდე; დღეს ქრონოლოგიურად შემიძლია მთელი ეროვნული მოძრაობა აღვადგინო იმ პერიოდიდან მოყოლებული, როდესაც ზვიადი გავიცანი და ჩავერთე ამ მოვლენებში, დღევანდელი დღის ჩათვლით. ერთი მომენტიც ნუ დაგავიწყდებათ, რეკომენდაცია შეიძლება იყოს მომგებიანი და შეიძლება იყოს წამგებიანი, მაგრამ ზვიად გამსახურდიას, პიროვნებას, რომელიც ჩემზე ღრმად იყო ჩახედული ყველაფერში, არ სჭირდებოდა არც მომგებიანი და არც წამგებიანი რეკომენდაციები. ზვიადი ადამიანს რომ შეხედავდა, უკვე იცოდა, ის რა სულისა იყო. ჩემი დამატება სრულიად ზედმეტი იქნებოდა. რა თქმა უნდა, იყო შემთხვევები, როდესაც ის მეკითხებოდა აზრს და, ალბათ, საკუთარ თვალსაზრისთან შეაჯერებდა ისევე, როგორც მის ხელთ არსებულ ყველა სხვა ინფორმაციას. ზვიადისათვის მაშინ მთავარი იყო საკანონმდებლო აქტები, კონსტიტუციური თემა... როდესაც ახალი სახელმწიფო იქმნებოდა, მრავალპარტიულ სისტემაზე აგებული სახელმწიფო, რომლის ანალოგი საბჭოთა კავშირში არ იყო, მისთვის უპირველესი და უმთავრესი გახლდათ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის კანონებისა და აქტების მიღება, რაც საქართველოს სამუდამოდ წარმოაჩენდა როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოს. ამისათვის მას ჰქონდა სულ წელიწადი და ორი თვე... და ამ დროში მან რაც მოასწრო, ძალიან კარგად მოგეხსენებათ. სწორედ ეს იყო მისთვის უმთავრესი – რეფერენდუმის, 9 აპრილის დამოუკიდებლობის აქტის გამოცხადება, რომელსაც მოჰყვა შემდეგ 58 სახელმწიფოს მიერ საქართველოს ცნობა. ხოლო კადრების საკითხს ამის შემდეგ სრულიად იოლად გადაწყვეტდა. როდესაც სახელმწიფოებრივად გამყარებული გაქვს მდგომარეობა შენი ქვეყნისა და მყარი საფუძველი გაქვს კონსტიტუციურადაც და საკანონმდებლო ბაზისიც ისეთი ძლიერი გაქვს, რომ მას ვერავინ ვერ შეარყევს (და დღესაც ვერავინ ვერ შეარყია, უწყვეტია ჩვენი კონსტიტუცია, უზენაესი საბჭო ფუნქციონირებდა და ფუნქციონირებს, და მე კიდევ მოგახსენეთ, რომ მისი პრეამბულიდან დაწყებული ბოლო მუხლით დამთავრებული, ყველგან ისეთი რამ დევს, რომ ვინც არ უნდა შეეცადოს მის გადასხვაფერებასა და სხვა კუთხით შემოტანას საზოგადოებაში, ვერავინ შეძლებს. ისეთი დატვირთვა აქვს თითოეულ მუხლს, რომ თავად მტერმაც კი ვერ შეძლო (მაგალითად, აფხაზეთთან დაკავშირებით) გამოეყენებინა სათავისოდ ჩვენი კონსტიტუცია. ასე რომ, ზვიად გამსახურდიას არაფერი შეშლია, მისთვის მთავარი იყო სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის სტატუსის მიღწევა, ხოლო რასაც მიაღწევდა კადრებთან დაკავშირებით, გამოჩნდებოდა. გარდამავალი პერიოდის შემდგომ ძოძუაშვილები, ომანიძეები, ასათიანები და სხვანი და სხვანი გამოიცვლებოდნენ საჭიროების მიხედვით. მართალია, იყო გარკვეული ნაწილი პიროვნებებისა, რომლებსაც რაღაც პატარა (დღევანდელებს ნამდვილად ვერ გაუტოლდებოდნენ) გამორჩენები ჰქონდათ სათავისო, მაგრამ მათ ეს აუცილებლად მოეკითხებოდათ. ზვიად გამსახურდია სახელმწიფოს რომ დააფიქსირებდა იმ სახელმწიფოთა ერთიანობაში, რომელიც არის შექმნილი მსოფლიოში, შემდეგ მიხედავდა კადრების საკითხს და კადრების პრობლემა მას არ ექნებოდა, რადგან საქართველოს, რომელიც მდიდარია ბუნებრივი სიმდიდრეებითაც და ნიჭიერი ადამიანებითაც, ეს პრობლემა არ ექნებოდა. ძოძუაშვილის საკითხის ჩემთან მიმართებაში განხილვა ნამდვილად დიდი შეურაცხყოფაა ჩემთვის, იგი ჩემი მეგობარი არც ყოფილა და ვერც იტყვის ამას. მე ძოძუაშვილი გავიცანი 1990 წელს, თავად ზვიადმა გამაცნო. იგი სოხუმიდან იყო, მერაბის ნათესავის მეგობარი გახლდათ მისი მეუღლე (იგი რაღაც პირად საკითხთან დაკავშირებით მოვიდა ერთხელ ზვიადთან, როცა ჯერ ზვიადი ხელისუფლებაში არ იყო). სწორედ ის პიროვნებები ავრცელებდნენ ხმებს, ზვიად გამსახურდია ცოლის ჭკუაზე დადისო, რომლებიც განუდგნენ ზვიადს და დღესაც პუტჩისტებთან არიან. არავითარი მბრძანებელი მე არ ვყოფილვარ, მაგრამ ამ პიროვნებებში მე მაშინაც ვხედავდი იმ მოღალატურ სულს, რომელსაც დღესაც ვხედავ და არც უარვყოფ ამას. ნუთუ დანაშაულია პიროვნების ამოცნობის უნარი? პირიქით, ეს არის დიდი ნიჭი, დიდი ჯილდო, რომელიც გაძლევს საშუალებას გადაარჩინო სახელმწიფო იქნება თუ ადამიანი, რჩევა მისცე მეგობარს.

**გული მტკივა, რომ ჩვენ, რათა არ დაგვეშვა იმ ჩასაფრებული ხალხის გაღიზიანება, რომელთაც თავად არ ეკრძალებოდათ თავიანთ მეუღლეებთან ერთად უცხოეთში სიარული, თუნდაც საქართველოს ტერიტორიაზე მოგზაურობა, თავს ვარიდებდით ერთად გამოჩენას საზოგადოების წინაშე... ჩვენ ეს აკრძალული გვქონდა. ჩვენ არსად არ ვჩნდებოდით ერთად...**



**როდესაც ახალი სახელმწიფო იქმნებოდა, მრავალპარტიულ სისტემაზე აგებული სახელმწიფო, რომლის ანალოგი საბჭოთა კავშირში არ იყო, მისთვის უპირველესი და უმთავრესი გახლდათ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის კანონებისა და აქტების მიღება, რაც საქართველოს სამუდამოდ წარმოაჩენდა როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოს. ამისათვის მას ჰქონდა სულ წელიწადი და ორი თვე...**

*– ქალბატონო მანანა, თავისთავად ამ მითქმა-მოთქმის პროვოკაციული ბუნება ჩანს თუნდაც იმაში, რომ არც ერთი სახელმწიფოს არც ერთ პრეზიდენტს არ უთვლიან ნაკლად, როდესაც ისინი მეუღლეებთან ერთად ჩნდებიან საზოგადოებაში. მათი მეუღლეები საგანგებო თანამდებობებზე მსახურობენ და აწარმოებენ ყველაზე მნიშვნელოვან კამპანიებს ქმრების ინტერესების დასაცავად. მაგრამ მე მაინც მოხარული ვარ, რომ თქვენ ამ კითხვას უპასუხეთ, რადგანაც, ვფიქრობ, მკითხველისათვის უაღრესად საინტერესოა თქვენი კომენტარები ამ საკითხებზე და სასიამოვნოა თქვენი სიმშვიდე თვით პროვოკაციულ შეკითხვებთან დაკავშირებითაც კი.*

– ოღონდ ერთი რამის დამატება კი მინდა, კერძოდ, გული მტკივა, რომ ჩვენ, რათა არ დაგვეშვა იმ ჩასაფრებული ხალხის გაღიზიანება, რომელთაც თავად "არ ეკრძალებოდათ" თავიანთ მეუღლეებთან ერთად უცხოეთში სიარული, თუნდაც საქართველოს ტერიტორიაზე მოგზაურობა, თავს ვარიდებდით ერთად გამოჩენას საზოგადოების წინაშე... ჩვენ ეს აკრძალული გვქონდა, ჩვენ არსად არ ვჩნდებოდით ერთად. სულ რამდენიმე მომენტი შემიძლია გავიხსენო: მიტინგებზე ცალკე ვიდექით. მე ვაძლევდი მაგალითს ხალხს, რომ მე უშიშარი ვარ და ჩემი შვილებით ვდგავარ იქ, სადაც ყველაზე მძიმე სიტუაციაა... შემდგომ, როდესაც ზვიადი უკვე ხელისუფლების სათავეში მოვიდა, არ მინდოდა, რომ აქტიური პოზიცია დამეკავებინა და ამან მე, დღევანდელი გადასახედიდან, უდიდესი ტრავმა მომაყენა; გული მწყდება, რომ მე არ მაქვს დაფიქსირებული ზვიადთან ერთად ბევრი ამგვარი მოგონება. არა, მოგონებები, ცხადია, მაქვს, როდესაც ვხვდებოდით ერთმანეთს ოჯახში, მაგრამ სხვაგან ერთად ყოფნისა ძალიან ცოტა შემთხვევა გვქონდა (თუ განსაკუთრებულ სიტუაციაში პრეზიდენტისათვის სავალდებულო არ იყო ცოლთან ერთად ყოფნა). ბევრი ისეთი მომენტი გავუშვით, ისეთი კარგი მომენტები გავუშვით, რომ მე მიმაჩნია ეს უდიდეს ცოდვად იმათ მხრიდან, რომლებმაც ჩვენი ერთად გამოჩენა მიიჩნიეს დანაშაულად. როგორ, ცოლქ-მარი ერთად არ უნდა იყოს? ეს არის მაგალითი ყველა სახელმწიფოსათვის.. თუ შეერთებულ შტატებში პრეზიდენტის არჩევნების პერიოდში იგი ყოველთვის მეუღლესთან ერთად უნდა ჩნდებოდეს, რათა დაამტკიცოს, რომ ყველაფერი იწყება ოჯახიდან, და თუ ოჯახში გაქვს სიყვარული და ჰარმონია, ამის შემდეგ შენ გენდობა ამომრჩეველი და გასახელებს პრეზიდენტობის კანდიდატად. ზვიად გამსახურდია ყოველთვის გამოდიოდა ცალკე, მე ყოველთვის ვიდექი სადღაც ჩრდილში. ავიღოთ თუნდაც შეერთებული შტატები... როდესაც პრეზიდენტი ფიცს დებს, იგი გამოდის დიდ აივანზე ცოლთან და შვილებთან ერთად, ოჯახის წევრებით. ჩვენ კი ეს აგვეკრძალა. როდესაც ზვიადმა ფიცი დადო, ერთად ვერც გადავიღეთ სურათი. "ეს არ შეიძლება, "ის არ შეიძლება, "ერთი ამბავი ატყდება..." ჩვენ ყველაფერს ანგარიშს ვუწევდით. დაგვიპირისპირდნენ იმიტომ, რომ მათთვის მიუღებელნი აღმოვჩნდით ჩვენ, ორი ფიგურა, რომლებიც ჰარმონიულად ვიყავით შერწყმულნი ერთმანეთთან. მე ვიტყოდი, რომ ჩვენ ძალიან მოკრძალებულები აღმოვჩნდით და ამ მოკრძალებამ ბევრი რამ დაგვაკარგვინა. ზვიად გამსახურდია უნდა გასულიყო უცხოეთში, რასაც კატეგორიულად უშლიდნენ ხელს თედო პაატაშვილები, ურიდიები, ხოშტარიები, ასათიანები შევარდნაძის მეთაურობით და სხვ., ვინაც მასთან ერთად მერე განახორციელა პუტჩი და დღესაც მასთან თანამშრომლობს. ცოლი, რომელიც ქმარს არ ღალატობს და ერთგულია, მტრისთვის ყოველთვის საშიშია. მე რომ ქრთამის ამღები ვყოფილიყავი, მე რომ მოღალატე ვყოფილიყავი, სუკს ხომ ყოველი წერტილი აქვს დაფიქსირებული ჩემი გადაადგილებისა, ერთ მომენტს გამოიყენებდა ჩემს წინააღმდეგ და ისე კარგად გამაჩუმებდა, საერთოდ აღარ ვისურვებდი ზვიადის გვერდზე დადგომას კი არა, ქუჩაში გამოსვლასაც კი.

ესაუბრა მანანა ტაბიძე

(გაგრძელება მომდევნო ნომერში)

## საქართველოს სხვა ახალი ამბები

### საავადმყოფოში საშინელება ხდება

შს საქართველოს რკინიგზა"-ში არსებული სამედიცინო სამსახურის უფროსის ზურაბიძემ საქართველოს რკინიგზის" გენერალური დირექტორის აზრით დიდი ხანია მოახდინა "რეფორმა", გაერთიანდა რკინიგზის კახიანის სახელობის საავადმყოფო და ფიფიას სახელობის საავადმყოფო. კახიანის სახ. საავადმყოფოს უფროსი იყო ზ. ბორჯაძე, ხოლო ფიფიასი [illegible] დავით ცქიტიშვილი - შესანიშნავი სპეციალისტი, რომელმაც თავის დროზე ააგო და საავადმყოფოს ბაზაზე ულტრათანამედროვე ერთადერთი, მან იქ ჩამოაყალიბა კომპიუტერული დიაგნოსტიკური ცენტრი, რომელსაც დღესაც ხელმძღვანელობს მაფიოზი ექიმი ფ. თოდუა და რომელსაც თანამშრომლები ეძახიან: «врач самодур», ვინაიდან ექიმი კი არა, ბატონია და რაც უნდა, იმას მოიმოქმედებს.



გაერთიანებული საავადმყოფოს მთავარ ექიმად თუ დირექტორად დაინიშნა უდიდესი მაფიოზი ექიმი ზ. ბორჯაძე, თ.გასვიანი კი მისი მოადგილე გახდა. სხვათა შორის, იგი კარგი პროფესიონალიც არის და კარგი ადამიანიც, მაგრამ ბორჯაძესთან რას გააწყობს. ბორჯაძეს დიდი მფარველები ჰყავს, ნამდვილად აყვავების პერიოდშია. საავადმყოფოების გაერთიანება ხალხისთვის არამომგებიანია, ეს უფრო ბორჯაძის ინტერესებისთვის გააკეთეს, რომელიც თავს სრულ მებატონედ თვლის, საავადმყოფო გადააქცია სავაჭრო ცენტრად.

საავადმყოფოს არ აკლია ძეხვისა და სხვა პროდუქტების საამქროები, საწყობები, სახაჭაპურეები და ეს ყველაფერი მის სარდაფებში, ეზოში, ირგვლივ ხდება. ერთ დროს სახაჭაპურე მორგშიც კი იყო, რაც პროკურატურის წარდგინებით მოშალეს. გული გეტკინება ოდესღაც ამ განთქმული საავადმყოფოების ბედით. მათი დამაარსებელნი კახიანი და ფიფია, ალბათ, საფლავში გადატრიალდებოდნენ, ხოლო ცქიტიშვილი - ეს დაუცხრომელი და უპატიოსნესი ექიმი, კაცმა არ იცის, რას აკეთებს, სად არის ამჟამად. არადა, რა შემოქმედი იყო- საქართველოს მხოლოდ ასეთი ექიმები სჭირდება...

ამჟამად სისხლის სამართლის საქმეა აღძრული ფიფიას სახ. საავადმყოფოს ძეხვეულის საამქროს მუშაკების მიმართ ძეხვის ფალსიფიცირების გამო. საქმე აღძრა სატრანსპორტო პოლიციის მე-6 განყოფილებამ (კორუფციასთან „მებრძოლნი"). დღეს ამგვარადაა მოწყობილი ეს ცხოვრება, სატანა მეფობს, მაგრამ ბევრს ველარ იბოგინებს, თუ ხალხი თვალს გაახელს.

### კომბინატის ნაცვლად საცხოვრებელი სახლი?

ქ. თბილისის ვაკის რაიონის ჟაზზეგის გამზირი № 24-ში მდებარე ხე-ტყის გადამამუშავებელი კომბინატი დაანგრიეს. მისი ტერიტორია გაიყიდა, სანაცვლოდ კი ექვსი სამსართულიანი საცხოვრებელი სახლი შენდება.

### წარმოების თანამშრომლები შრომის ბირჟაზე გადააფორმეს



ქარხანა მგმ-ის ნაწილი შეიძინა ქარხნის დირექტორმა ნ.ჭკადუამ მისი ნათესავის სახელზე (მილდიანი). ადრე იგივე წარმოების დიდი ნაწილი შეიძინა ჯოხთაბერიძემ- წარმოების თანამშრომლები, რომლებიც უხელფასო შვებულებაში ირიცხებოდნენ (დაახლოებით 3000 ადამიანი), შრომის ბირჟაზე გადააფორმეს.

წარმოების გადანაწილება-დატაცებაში აქტიურად მონაწილეობდნენ ყოფილი მთავარი ინჟინერი გ. ნატროშვილი და პროფკავშირების თავმჯდომარე ა.სამხარაძე.

### ადამიანის გამოსასყიდად სამ მილიონ დოლარს მოითხოვენ

საკუთარი ავტომანქანით გაიტაცეს თამაზ გელაშვილი, მოსკოვის პროსპ. №17-ში მდებარე წისქვილკომბინატისა და პურის საცხობ „მზე კაბანის" დირექტორი.

გატაცებიდან მესამე დღეს მანქანა ნაპოვნი იქნა კუკიის სასაფლაოზე. ბ-ნი თამაზის გამოსასყიდად სამ მილიონ დოლარს მოითხოვენ.

### ვადაგასული მედიკამენტებით ვაჭრობის შემთხვევაში მიაკითხეთ უბნის ინსპექტორს

სააფთიაქო სავაჭროებსა და ქუჩაში მედიკამენტებისთვის საჭირო ყოველგვარი ნორმა დარღვეულია. არ არის დაცული ტემპერატურა, წამლები დღის სინათლეზე აწყვია დახლებზე თვეების მანძილზე; ზაფხულობით, მოგეხსენებათ, რკინის ჯიხურები ცხელდება და გარკვეული დროის მანძილზე წამალი კარგავს თავის თვისებას, მაგრამ ამაზე არავინ ზრუნავს, მზრუნველი მხოლოდ ფულის ასაღებად გამოივლის - ეს უბნის ინსპექტორია ან საგადასახადოს წარმომადგენელი და ჯანდაცვის მეწილე. მათ ე.წ. „სტავკა" იციან და მეპატრონეც იძულებულია გაიღოს "გასამსჯელო", ვინაიდან იცის, რომ არც ისაა მართალი. ასე და ამგვარად, ეს დანაშაულებრივი გარიგება ორივე მხარეს აწყობს. ასეთ სავაჭროებში ვადაგასულ წამლებსაც შეხვდებით, მათ იციან, რომელ კლიენტს მიჰყიდონ ეს პრეპარატები.



მედიკამენტებით ვაჭრობას თუ გადასწყვეტს ვინმე, ამას არ სჭირდება ბევრი სირბილი, მთავარია ნახო უბნის ინსპექტორი, მას მოელაპარაკო და ნებართვაც გექნება. არის შემთხვევები ნარკოტიკული საშუალებების გაყიდვისა. ეს ვერაგული საკითხიც შეთანხმებულია „იქ სადაც არს". ამ საკითხში მადა სხვადასხვაგვარია; გააჩნია, ვის როგორი "კრიშა" ჰყავს.

გამყიდველი სრულიად არაკომპეტენტურია, შემთხვევითი პიროვნება ვერ ერკვევა, რომელი წამალი რას კურნავს, ვერც შემცვლელს შემოგთავაზებთ. ასეთ შემთხვევით ადამიანებს უპყრიათ ხელთ ფარმაკოლოგია. ეს მე, სრულიად არასპეციალისტმა ამ დარგისა, დავაფიქსირე დარღვევები და ალბათ, ნორმალური ქვეყნის წარმომადგენელი არც დაიჯერებს, თუ ეს მართლაც სადმე ხდება. რას ვიზამთ, ეს ხომ ჯერ-ჯერობით „შევარდნაძის" საქართველოა...

### ნუ მისცემთ რუსეთს საქართველოს გადაყლაპვის საშუალებას

შესაძლებელია, ერთიანი საგარეო პოლიტიკის დამმუშავებელმა ევროპელებმა ყურადღება მიაქციონ იმ პრობლემას, რომელიც წინა კვირას შესთავაზა აშშ სახელმწიფო მდივანმა კოლინ პაუელმა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს ირაკლი მენაღარიშვილს. იშვიათია შემთხვევები, როდესაც ერთ საგარეო პოლიტიკურ პროგრამას ამდენი შემადგენლები ყავდეს, აშშ-სა და ევროპის უმნიშვნელოვანეს ინტერესებს რომ პასუხობენ. შიდა ეთნიკური პოლიტიკური კონფლიქტებით გახლეჩილი და მძიმე პოსტსაბჭოთა კრიზისის გადამტანი ამიერკავკასიის პატარა სახელმწიფო საქართველოს სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ტერიტორია უკავია. რუსეთმა განაცხადა, რომ კავკასიონის მთებით გარშემორტყმული საქართველო მისი ზეგავლენის ქვეშ უნდადარჩეს. რუსეთი ამ აზრს მეზობელ ჩეჩნეთში არსებული კონფლიქტით დარეგიონში შემდგომი დესტაბილიზაციით ამართლებს.

ამას გარდა, რეგიონს დიდი მნიშვნელობა ენიჭება ნავთობის მრეწველობის თვალსაზრისითაც. საქართველო თავად არ აწარმოებს ნავთობის რეწვას, მაგრამ მეზობელი აზერბაიჯანი და კასპიის ზღვის მოპირდაპირე მხარეს არსებული ქვეყნები — ყაზახეთი და თურქმენეთი ნავთობისა და გაზის დიდი რაოდენობის მფლობელები არიან. საქართველოს სტრატეგიული მნიშვნელობა დაკავშირებულია რეგიონის ენერგეტიკული სიმდიდრეების ტრანსპორტირებასთან, ენერგიის მწვავედ საჭირო დასავლეთის ქვეყნებისათვის.

კასპიისზღვა შიდა სახმელეთოა. აზერბაიჯანს, ყაზახეთსა და თურქმენეთს სხვა ზღვებთან არ გააჩნიათ პირდაპირი გასასვლელი, გარდა ამ მთაში გიგანტური ტბისა დაამგვარად, ვერც მათს ნავთობს გააჩნია პირდაპირი გასასვლელი მსოფლიო ბაზრებზე.

სადღეისოდ, მცირე რაოდენობის ნავთობი და ბუნებრივი აირი ჩრდილოეთისკენ მიმავალი საბჭოეთის დროინდელი ძველი მილეით ტრანსპორტირება. შედეგად, თავს იჩენს ორი პრობლემა. პირველი ის, რომ სსრკ-ს ძველ საექსპორტო ქსელებს არ გააჩნიათ საკმარისი სიმძლავრეები. შუა აზიისა და კასპიის ნავთობის საბადოებზე გაცილებით მეტი ნავთობის ამოღება შეიძლება, ვიდრე ამას არსებული მილსადენები შეძლებენ. მეორე ის, რომ, რადგან რუსეთია ერთადერთი საექსპორტო მარშრუტი, მოსკოვს უმძლავრესი ბერკეტი გააჩნია, უშუალო ზეგავლენა მოახდინოს რეგიონის ახალ სახელმწიფოებზე.

საქარველო, აზერბაიჯანი და შუა აზია, მხოლოდ ათი წლის წინათ გახდნენ რუსეთისგან დამოუკიდებლები, მაგრამ ფორმალური დამოუკიდებლობა ჯერ კიდევ ყველაფერს არ ნიშნავს. ჭეშმარიტი მნიშვნელობის შესაძენად და შესანახად, დამოუკიდებლობა ეკონომიკურ და პოლიტიკურ მოქნილებას საჭიროებს. თავისი ყველაზე ფასეული საქონლის მხოლოდ ერთი საექსპორტო მარშრუტის ხელთქონის შემთხვევაში, ეს ქვეყნები იმათზე დარჩებიან დამოკიდებულნი, ვინც ამ მარშრუტის მაკონტროლებელი გახდება.

დღეს კი მას რუსეთი აკონტროლებს. თვით ამ ფაქტში ცუდი არაფერია. პრობლეა ის არის, რომ ზოგიერთ მოსკოველ ლიდერს დღესაც სჯერა, რომ რუსეთს არ უნდა მიეცა დამოუკიდებლობა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებისათვის, რომ რუსეთი "ბუნებრივად" უნდა დომინირებდეს ზონაში, რომელსაც ისინი თავიანთ "ახლო საზღვარგარეთს" უწოდებენ. ამიტომ, საექსპორტო მარშრუტზე თავისი მონოპოლიის გამოყენებით, რეგიონის სახელმწიფოების დამოუკიდებლობის შესაზღუდავად, მოსკოვს არა მარტო საკუთარი თავის მტრებისგან ბუფერული ზონით შემოზღუდვის აუცილებლობას აიძულებს, არამედ ნავთობის რესურსების განკონტროლების სურვილსაც. ახალ სახელმწიფოებს საშიშროება იმ მხრივაც ემუქრებათ, რომ ზოგიერთი რუსი ჯერაც ვერ შერიგებია საბჭოთა იმპერიის დანგრევის აზრს.

საქარველო საერთაშორისო პოლიტიკის მნიშვნელოვანი მიმართულებაა, რომელმაც ეს

## საქართველოს შესახებ

მუქარა უნდა აიცილოს. დასავლეთისა და ადგილობრივი ნავთობის კომპანიების კონსორციულმა ალტერნატიური ნავთობსადენის მარშრუტის გამოკვლევაში 100 მილიონზე მეტი ინვესტიცია ჩადეს. ეს მარშრუტი ბაქოდან საქართველოს გავლით მიემართება სამხრეთ თურქეთის ხმელთაშუა ზღვის პორტ ჯეიჰანისკენ.

დასავლეთის მხარდაჭერა რამდენიმე ფორმით უნდა გამოიხატოს. კოლინ პაუელმა საქართველო უკვე უზრუნველყო ერთ-ერთი არსებითი ელემენტით — მორალურით. სახელმწიფო მდივანმა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს უთხრა, რომ შეერთებული შტატები მხარს უჭერენ საქართველოს თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას. ამას გარდა, მან ხაზი გაუსვა იმას, რომ აშშ მხარს უჭერს ბაქო-ჯეიჰანის მილსადენის მშენებლობას. რუსეთმა კი ცოტა ხნის წინათ საქართველოს წინააღმდეგ ერთ-ერთი კოზირი გაითამაშა. ის, რომ რუსეთში მომუშავე საქართველოს მოქალაქეებს ხელფასებს არ გადაუხდის, თუკი თბილისი რესეთის გეზს არ გაჰყვება. ეკონომისტების შეფასებით საქართველოს საერთო ეროვნული შემოსავლის მესამედი უცხოეთში, პირველ რიგში რუსეთში მომუშავე მოქალაქეების ხარჯზე ივსება. აშშ-სა და ევროპის მთელ დახმარებასთან შედარებით თვით მოკრძალებულ და ეკონომიკურ მხარდაჭერასაც კი, საქართველოსათვის უზარმაზარი მნიშვნელობა ენიჭება. შეერთებულმა შტატებმა და ევროკავშირმა უკვე გაიღეს გარკვეული სახსრები და მათ ეს უნდა გააგრძელონ, ყოველ შემთხვევაში, ახლო მომავალში მაინც.

მხარდაჭერის სხვა ფორმაა პოიტიკური რისკების დაზღვევა. ერთ-ერთი ფაქტით, ბაქო-ჯეიჰანის მილსადენის პროექტის მხარდაჭერის ღიად გამოცხადებით, აშშ მისი რეალიზაციის შანსს ზრდის. ვაშინგტონმა უნდა განიხილოს OPIC-ის მხარდაჭერის შესაძლებლობაც, საზღვარგარეთული კორპორაციის კერძო ინვენსტიციებისა — რომელიც ამერიკული კონპანიების ინვენსტიციების დაზღვევასაც ემსახურება, თავიანთ სახსრებს ამერიკის ინტერესებთან დაკავშირებულ მაღალ პოლიტიკურ რისკიან რეგიონებში აბანდებენ.

კავკასია კი, აშშ-თვის ერთი უმთავრესი რეგიონია. შეერთებულ შტატებში დიდი ხანია საკუთარ თავს ერთგვარ ამოცანას უყენებენ ხელი შეუწყონ დემოკრატიის განვითარებასა და კანონის უზენაესობის დამკვიდრებას. თუკი ძველი იმპერიალიზმი ახალი სახით გაიდგამს ფესვებს "ახლო საზღვარგარეთში", მაშინ ამ ამოცანის რეალიზაცია ძალზედ ძნელი იქნება. სიმბოლურ პინაზე ძევს პოლიტიკური და კომერციული ინტერესებიც.

მუსულმანურ სამყაროში თურქეთი დასავლეთის მთავარი მოკავშირეა. ბალკანეთისა და ახლო აღმოსავლეთის სტანდარტებით, თურქეთი ბალანსირებული და სტაბილური რესპუბლიკაა. ჯერ კიდევ ომის პერიოდიდან დასავლეთი მას საიმედო მოკავშირედ მიიჩნევს. თუკი კავკასიაში მშვიდობა და თავისუფლება გამეფდება, უსაფრთხოდ იქნება თურქეთიც. თუკი ნავთობი კასციის რეგიონიდან და შუა აზიიდან საქართველოსა და თურქეთის გავლით გადაიზიდება, საქართველო მიიღებს შემოსავლებს, რომლებიც მას ძალზედ სჭირდება და რაც ასევე მთავარია, ნავთობის მომპოვებელი ქვეყნები სულ უფრო დამოუკიდებლები გახდებიან რუსეთისაგან და მანევრირების შესაძლებლობას მიიღებენ.

და ბოლოს, საქართველოსა და ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენის მხარდაჭერით, ამერიკასა და ევროპას ნავთობისა და ბუნებრივი აირის ახალ საბადოებს მივცემთ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჩვენ გავნთავისუფლდებით შიდა პრობლემებისაგან შარშან რომ წარმოიქმნენ ნავთობსა და ბუნებრივ აირზე ფასების მომატების გამო. პაუელმა და ბუშის ადმინისტრაციამ სწორი კურსი აირჩიეს კავკასიაში — დიდი მხარდაჭერა ახალ დამოუკიდებელ სახელმწიფოებს; სტრატეგიული ინტერესების დაცვა ამ რთულ რეგიონებში და საიმედო ენერგეტიკული მომავლის გარანტიები. დადგა დრო ევროპელებმა თქვან თავიანთი სიტყვა.

## ცნობები დანარჩენი მსოფლიოდან

### ბლერი აფრთხილებს პუტინს

ტონი ბლერმა მკაცრად გააფრთხილა ვლადიმერ პუტინი რუსი ჯაშუშების საქმიანობის შესახებ დიდ ბრიტანეთში, იგი ამერიკიდან ჯაშუშობაში მხილებული რუსი დიპლომატების გამოძევებას მოჰყვა.

ბლერმა ამის თაობაზე განუცხადა სტოკჰოლმში გამართულ ევროპის სამიტის მიმდინარეობის დროს "ერთი-ერთზე" შეხვედრისას. უაით ჰილში შეშფოთება მატულობს დიდ ბრიტანეთში, დანარჩენ ევროპასა და აღმოსავლეთ ევროპის დემოკრატიულ სახელმწიფოებში რუსი ჯაშუშების საქმიანობის გაფართოებასთან დაკავშირებით. თავდაცვის სამინისტრო განსაკუთრებით შეშფოთებულია დიპლომატის ნილბიანი რუსეთის დაზვერვის თანამშრომელთა რაოდენობის გაზრდით. ამერიკის მთელ რიგ საიდუმლო სამსახურებში რუსი აგენტის აღმოჩენის შემდეგ აშშ-დან რუსი დიპლომატების გაძევებით პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა არაორაზროვნად მოახდინა საკუთარი მიზნების დემონსტრირება.

დიდი ბრიტანეთი მზად არის მსგავსი ნაბიჯების გადასადგმელად, თუკი რუსული დაზვერვის აქტივობის აშკარა დამადასტურებელი ფაქტები გამოვლინდებიან, თუმცა სადღეისოდ შესაძლებლად მიიჩნევს დაბალი დონის ჯაშუშობას. პუტინი გააფრთხილეს, რომ ისინი მზად არიან მსგავსი ნაბიჯის გადასადგმელად, მაგრამ რუსეთს ჯერ არ გადაულახავს განსაზღვრული რიდე. და თუ ამას გააკეთებს, უმალ მიიღებს კუთვნილს.

### ვლადიმერ პუტინის საკადრო პოლიტიკა ამერიკელი ექსპერტის არიელ კოენის კომენტარები

ამ დღეებში რუსეთის მთავრობაში პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის მიერ განხორციელებულ გადაადგილებებს ფართოდ მიმოიხილავენ. ამერიკის შეერთებულ შტატებში ჯორჯ ბუშის ადმინისტრაციის საგარეო პოლიტიკური კურსის გამომუშავების წინადადების შეთავაზებასთან დაკავშირებით რუსი კორესპონ-დენტის შეკითხვებს პასუხობს "ჰერი თეიჯის" ფონდის მეცნიერ მუშაკი, რუსეთისა და დსთ-ს პრობლემების ექსპერტი არიელ კოენი.

- როგორი იყო პირველი რეაქცია ამერიკის შეერთებულ შტატებში რუსეთის მთავრობაში ახლახან გამოცხადებულ საკადრო გადაადგილებების თაობაზე?

არიელ კოენი: ვფიქრობ რეაქცია ისეთია, რომ პუტინი სიტყვის კაცი გამოდგა. იგი ელცინს შეპირდა, რომ ერთი წლის განმავლობაში ხელს არავის ახლებდა. და დადგა დრო საათების შედარება-შემოწმებისა... ერთი წლის შემდეგ ისინი გაფრინდნენ, ადამიანები, რომლებიც უშუალოდ ასოცირდებოდნენ ელცინის ოჯახთან, არაერთნიშნიანი რეპუტაციის მქონენი, როგორც ბატონი ადამოვისა და ბატონი რუშაილოს შემთხვევაში მოხდა. ვფიქრობ, სერგეი ივანოვის თავდაცვის სამინისტროში მისვლა გასაგებია, რადგან რეფორმები სამინისტროში მყარად არ მიდიოდა. აშკარაა, რომ გენერალ კვაშნინისა და მარშალ სერგეევის ყველას თვალწინ მომხდარი "ჩხუბის" მერე, ამ თანამდებობისათვის ორივე გამოუ-სადეგარი იყო, ეს ჩემთვის სრულიად გასაგები იყო. ამ თანამდებობის ხელში ჩაგდებას ცდილობდა გენერალი ანდრეი ნიკოლაევი, მაგრამ, რამდენადაც იგი პოლიტიკოსია და არა ადამიანი, პუტინის ერთგვარი გარემოცვიდან ამას ვერ ელირსა. ისე რომ, სერგეი ივანოვი, მეორე პირი სახელმწიფოში, პრეზიდენტის დიდი ნდობით სარგებლობს... მით უმეტეს, რომ, როგორც მეჩვენება, სუკის გენერალს გაცილებით მეტი ესმის რუსეთის მოსალოდნელი საფრთხის ბუნებისა, კერძოდ, დაბალი ინტენსივობის კონფლიქტების საფრთხისა: ტერორიზმი, ნარკოტი-კებით ვაჭრობა, ისლამური ფუნდამენტალიზმი და არატრადიცი-ული კონვენციალური ომებისა, მით უმეტეს არა ბირთვული ომებისა, ეს დღევანდელ დღეს პრაქტიკულად თითქოსდა გამორიცხულია. თავდა- ცვის სამინისტრო ძალზე მნიშვნე- ლოვანი სამინისტრო ხდება, ვინაიდან იქ ბატონი ივანოვი მიდის. რაც შეეხება ქალის გამოჩენას, იგი მნიშვნელოვანი მომენტია, მით უმეტეს იგი ფინანსთა სამინისტროდან გახლავთ მისული და ბუნებრივია, მას მოუწევს თავდაცვის სამინისტროში არსებული პრობლემების გადაჭრა.

- თქვენი აზრით, მოსალოდნელია რაიმე ახალი საკადრო ცვლილებები რუსეთის მთავრობაში?

არიელ კოენი: ვფიქრობ, ამჟამად დღის წესრიგში დგას სხვა თანამდებობების სამომავლო ცვლილებები, ასე ვთქვათ, პრეზიდენტის საკადრო პოლიტიკის გაძლიერებისათვის. კერძოდ: ადმინისტრაციის უფროსი გახდება ადამიანი, აშკარად ელცინის გარემოცვიდან, ბატონი ვოლოშინი; გენერალური პროკუ-რორის თანამდებობას დაიკავებს ბატონი უსტინოვი, ანდა ადვილი შესაძლებელია პრემიერი კასიანოვი. მაგრამ არ მინდა ასე შორს წასვლა: მეჩვენება, რომ ადგილი აქვს ადმინისტრაციის მთავრობის იურიდიული შტოს გაძლიერებას იმ ადამიანებით, რომლებთანაც კარგად მუშაობა ძალუძს, ადამიანებით, რომლებსაც ენდობა პრეზიდენტი.

- ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ ახალი დანიშვნები რუსეთის ხელისუფლებაში მოხდება სპეც-სამსახურებიდან და დაზვერვიდან?

არიელ კოენი: არა. მაგალითად, ბატონი გრიზლოვი, თითქოსდა არ უნდა იყოს სპეცსამსახურებიდან. იგი ვპკ-დანაა. ვფიქრობ, სამხედროების შემთხვევაშიც და შინაგან საქმეთა სამინისტროს შემთხვევაშიც, აშშ-ს ადმინისტრაციას ესმის, რომ ისინი უზარმაზარი ორგანიზაციებია, რომლებშიც დიდი ხანია მომწიფდა და აუცილებელი იყო რეფორმების ჩატარება. ეს ორგანიზაციებია, რომლებშიც რეფორმების ჩატარება ხელეწიფებათ ძლიერ აუტსაიდერებს. და ეს ასეა ორივე შემთხვევაში — ბატონი ივანოვისა და ბატონ გრიზლოვის შემთხვევაში. და როგორც მეჩვენება, ასეთივე ვითარება იქნება გენ. პროკურორის შემთხვევაშიც.

სოლომონ ლიონიძის კლუბი

## „... სჯულის ერთობა არარას არგებს"

ალექსანდრე ჭიჭინაძე

საქართველოს წინააღმდეგ საინფორმაციო სამამულო ომი დიდი ხანია დაწყებულია:

დავიწყოთ ლერმონტოვით.

რუსული სკოლის ყველა მოსწავლემ უნდა შეისწავლოს მიხეილ იურიევიჩის „ჩვენი ქვეყნის გმირი". აი, ამ ნაწარმოების პირველი მოთხრობის „ბელას" ექსპოზიციის ფრაგმენტი:

"У огня сидели две старухи, множество детей и один худощавый грузин...

- Жалкие люди! - Сказал я штабс-капитану указывая на наших грязных хозяев...

- Преглупый народ! - отвечал он... Поверите ли: ничего не умеют...

Уж подлинно осетины!"

ნებისმიერ ჭკუათმყოფელ მკითხველს დაებადება კითხვა: თუ ქართველი ჰყავს აღწერილი ავტორს, ოსი რაღა შუაშია? ციტატაში ქართველის ნაცვლად რუსი რომ ჩავწეროთ, ოსის მაგივრად კი იაკუტი, იგივე გაუგებრობა მაინც დარჩება, მაგრამ რახან უკვე მეორე საუკუნეა ავტორისეული ვარიანტი იბეჭდება, უნდა ვაღიაროთ მწერლის ფრიად სპეციფიური დამოკიდებულება ქართველებისა და ოსების მიმართ /ანუ - С больной головы, на здоровую/.

ისევ მიხეილ ლერმონტოვი გადავიკითხოთ. ამჯერად პოემა:

„бежали робкие грузины" -ო.

ვის-ვის და კავკასიის იმდროინდელი „მიროტვორცების" ექს-მოტლანდიელ ოფიცერს კარგად უნდა სცოდნოდა „გრუზინების რობკობის" შესახებ, რადგანაც რუსი აგრესორების მხედრიონის მოწინავე ნაწილს, სამწუხაროდ, ქართველები შეადგენდნენ.

მეფეთ-მეფე თამარის სახელსაც გადაწვდა კავკასიის ხაზის პორუჩიკი. ვკითხულობთ:

„В той башне высокой и тесной, царица Тамара жила:

Прекрасная как ангел небесный, как демон, коварна и зла.

На мягкой пуховой постели, в парчу и жемчуг-убрана

Ждала она гостя"...

„გოსტის" ვინაობა ავი დედოფლისთვის სულერთი გახლდათ:

„Шел войн, купец и пастух, перед ним отворялися двери, Встречал его мрачный евнух".

местумреызухуцеси саяурисис мийебис шемдег ки:

"Дикие звуки, всю ночь раздавалисися там".

დილით კი, აქაფებული ტალღების ჯერი დგებოდა:

... Безгласное тело, спешили они унести"...

ნაგერმანალი კახპის, რუსთ იმპერატრიცა ეკატერინე მეორის დერჟავის ქვეშევრდომი პოეტის მიერ „სარწმუნოების დიდებად" შერაცხული ბაგრატოვანთა დედოფლის ამგვარ პერსონაჟად ქცევას, შუშის სახლში ქვების მტყორცნელის აქციას თუ შეადარებს კაცი...

ფრიად საინტერესო რამ მინდა აღვნიშნო: რუსეთში, ესესერობის პერიოდში გადაღებულ სატელევიზიო ფილმში „12 სკამი" ზემოხსენებული დემონური პერსონაჟი ტამარაა ასახული და დაკვირვებული მაყურებელი შეამჩნევდა მის ფიზიონომიურ და „სამოსისეულ" იდენტურობას ჩრიდილოეთის ნიმფომან დედოფალთან. ეტყობა, ფილმის შემქმნელებმა სოციალისტური რეალიზმის მეთოდს „ჩემი შენ გითხარიო"-ს პრინციპი დაუმატეს.

სხვათაშორის, მემკვიდრეობითი ვნებათაღელვა დღესაც არ ცხრება: მომღერალი ირინა ალეგროვა თავის 3 იტში „იმპერატრიცა" მთელი დუნიის გასაგონად ამაყობს ეკატერინეს თამადობით, მისი ქვეშევრდომების ბოზობით (თუმცა დღევანდელი დემოკრატიის პირობებში ეს ამბავი, როგორც იტყვიან, ერთა თვითგამორკვევის საქმის სფეროს განეკუთვნება და მოდით, ჩვენც სხვის საქმეში ნუ ჩავერევით...).



ახლა, ლერმონტოვის სულიერი მამის, რუსეთის პოეზიის მწვერვალის, რომელიც თავს თავისი ქვეყნის პოეზიის საგარეო საქმეთა მინისტრს უწოდებდა, ალექსანდრე სერგეევიჩ პუშკინის „კავკასიური" ქმნილებების მცირე ნაწილის ციტირება მოვახდინოთ:

„И воспою тот славный час, когда почуя бой кровавый,

На негодующий Кавказ поднялся наш орел двуглавый..."

„И в сече, с дерзостным челом, Явился пылкий Цицианов..."

ეს ის ციციანოვია (ნაციციშვილარი), რომლის შესახებაც ქართულ ისტორიოგრაფიაში შემდეგია ნათქვამი: „ამ გვარად ქართველმა უფრო მეტი ზიანი მოუტანა ჩვენს ქვეყანას, ვიდრე მრავალმა მტერმა"-ო.

О, Котляревский, бич Кавказа!

Твой ход, как черная зараза,

Губил, ничтожил племена...

„Поникни снежою главой,

Смирись Кавказ, идет Ермолов!"

ეს ბრწყინვალედ დაწერილი სტრიქონები გახლავთ არა მარტო კავკასიელი ერების სრული გენოციდის აღწერა, არამედ - მომავალშიც ამ ქმედებისკენ პირდაპირი მიწოდება.

ასეთ რამეს, ჰაიდელბერგის უნივერსიტეტის ფილოსოფიის ერთი საპატიო დოქტორის გეგმებიც კი ვერ შეედრება. იგი წერდა: „რუსების 80% უნდა განადგურდეს, 20% კი მონა გახდეს". ეს კაცი გენოსე იოზეფ ჰებელსი გახლდათ.

„Все русскому мечу подвластно,

Кавказа гордые сыны..."

პროგნოზიც მოგვცა მასონმა მგოსანმა:

„Подобно племени Батыя,

Изменит прадедам Кавказ..."-ო.

ამას მომავლის ტურბაზების იდილიაც მოყვება:

„К ущельям, где гнездились вы,

Подъедет путник без боязни..."

კავკასიელთა (ბუნებრივია, ქართველთაც) ხვედრი კი შემდეგნაირად ესახებოდა მოდეკაბრისტო შემოქმედს:

„И возвестят о вашей казни

Преданья темные молвы."

იმდენი მამა გიცხონდა, სერგეიჩ!

(გაგრძელება მომდევნო ნომერში)

კადრები უახლესი წარსულიდან

ალეკო სანდუხაძე

იდგა 1989 წლის აპრილის თვე, თავისუფლებისათვის ილტვოდა სრულიად საქართველო, მღელვარებას მოეცვა საქართველოს სატახტო ქალაქი. მთავრობის სახლის მიმდებარე ტერიტორია მამულიშვილთა თავშესაფარ ადგილად ქცეულიყო. ასობით მოშიმშილე და ათიათასობით მათი მხარდამჭერი სამშობლოს თავისუფლებისათვის ილწვოდნენ. საპროტესტო გამოსვლებმა პერმანენტული ხასიათი მიიღო. საქართველოს ყველა კუთხიდან უწყვეტ ნაკადად მიედინებოდა მხარდასაჭერად მამულიშვილები დედაქალაქს.

1989 წლის 8 აპრილს მაშინდელ ცენტრალურ მოედანზე შევიკრიბენით არაფორმალური გაერთიანებების წევრები. ჩვენი შეკრების მიზანი იყო თანაქალაქელთათვის მიგვეწოდებინა სიმართლე თბილისში მიმდინარე აქციების შესახებ.

ყველას ჩინებულად მოეხსენება, თუ როგორი დამოკიდებულება ჰქონდა ჩვენი ქალაქის მაშინდელ მესვეურთ ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის მიმართ; მათ ხომ სიკვდილის მოახლოებასავით ზარავდათ მაშინდელი მოძრაობის უმთავრესი ლოზუნგი - „გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს". ამის გამგონენი კრუნჩხვებში ვარდებოდნენ. შემოგვარტყეს მილიციელთა ალყა, წაგვართვეს ტრანსფარანტები, დახიეს და ფეხქვეშ გაიგდეს ეროვნული დროშები, რომელსაც მაშინ აბუჩად იგდებდნენ, დასცინოდნენ, ჟორდანიას დროშებს უწოდებდნენ. მომიტინგეთა ერთი ნაწილი-მიამიტების პატარა ჯგუფი თეატრში შეიტყუა დიალოგისთვის მაშინდელმა ოფიციოზმა, საიდანაც შეძლეს ქალაქიდან მათი ფარულად გაყვანა.

მომიტინგეთა დიდი ნაწილი კი მოედანზევე დარჩა. გავიგეთ რა მომხდარის შესახებ, გადავინაცვლეთ პარტიის საქალაქო კომიტეტისა და ალმასკომის შენობის წინ და მოვითხოვეთ დაკავებულთა გათავისუფლება. ქალაქის ცენტრალურ ბაღში თავი მოიყარა სტუდენტებისა და საზოგადოების დიდმა ჯგუფმა, დავიწყეთ მჯდომარე აქცია მათ გასათავისუფლებლად.

არ გასულა მეოთხედი საათი და მილიციელთა უშველებელი რაზმი ველურად დაესხა თავს მსხდომარე ხალხს და გაიმართა არნახული ცემა-ტყეპა. სცემდნენ ნიხლებით, ხელჯოხებით, მუშტებით. იყო გინება და ცოდვა-მადლის გაკითხვა. მიაყენეს ავტობუსები, კინწისკვრით შეყარეს ხალხი ავტობუსებში და განარიდეს ქალაქს. ზოგს ვანში ამოაყოფინეს თავი, ზოგიც აქვე, წყალტუბოში, მიაბრძანეს, ზოგსაც დიდი გასეირნება მოუწყვეს და მესტიის თვალწარმტაცი სანახებით დაატკბეს.

შენიბდებისას წყალტუბოს სტუმრებსა და ვანში გატაცებულების ერთ ნაწილს ქალაქის სამმართველოში მოუყარეს თავი, სადაც დაიწყეს ჩვენი შეურაცხყოფა, დაცინვა, მუქარა და დაშინება. მაშინდელი ოფიციოზი ყოველ ღონეს მიმართავდა ოპოზიციის დასათრგუნავად, დისკრედიტაციისთვის, როგორც ეროვნული მოძრაობის, ისე ამ მოძრაობაში ჩართული პიროვნებების მიმართ. სპეცსამსახურების ინფორმ-ჭორბიუროები ათასგვარ სიცრუესა და სისაძაგლეს ავრცელებდნენ იმ პირების შესახებ, რომლებიც აქტიურად ებრძოდნენ კომუნისტურ რეჟიმსა და იმპერიის კოლაბორაციონისტულ ხელისუფლებას.



ეს ღამე და მომდევნო დღე - 9 აპრილი სამმართველოს შენობაში გავატარეთ. ჩვენ წარმოდგენა არ გვქონდა, რა მოხდა 9 აპრილს გამთენიისას. იმ ღამით ორდენოსანი ინტელიგენციის „გიზგიზა ვარსკვლავები" მოგვიწოდებდნენ შევრიგებოდით და გულში ჩავკვროდით მშობლიურ კომ. მაფიას, გვმოძღვრავდნენ და გვამუნათებდნენ. 10 აპრილის აქციის რამდენიმე მონაწილე წარგვადგინეს სასამართლოს წინაშე და დაგვაჯარიმეს 300-300 მანეთით, თუმც გადახდით კი არ გადაგვიხდია შემდეგ განვითარებული მოვლენების გამო.

ამ პატარა წერილში გავიხსენეთ გუშინდელი დღე, დღეს უკვე ისტორიის კუთვნილებად ქცეული.

დღესაც ვერ გაგვიგია, არ გვითხრეს, თუ ვისი ხელდასმით, ვისი ბრძანებით გალეწეს სისხლიანი კალო 1989 წლის 9 აპრილს ჩვენს დედაქალაქში; ვინ იყო იმ ღამის მთავარი რეჟისორი და დირიჟორი; ვინ იჯდა იმ ავადსახსენებელ თვითმფრინავში. ის კი არადა დაღუპულთა ზუსტი რაოდენობაც არ არის ჩვენთვის ცნობილი.

დღემდე ის ვიცით, თუ ვინ გასცა 8 აპრილის აქციის დარბევის ბრძანება ჩვენს ქალაქში, ვინ ხელმძღვანელობდა იმდღევანდელ „გმირულ ეპოპეას". ჩვენთანაც როდიონოვი ხომ არ გამოუგზავნიათ? ჩვენ ხომ ალესილნიჩბიანი სალდაფონები არ დაგვრევიან.

დღეს მავანი და მავანი წამებულის მანტიას ისხამს, ყელს ილადრავს, მამულის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში ოქროს ქოჩრიან რაინდად მოაქვს თავი, მაგრამ ჩვენ ხომ გვახსოვს, ვინ სად იდგა და რას სჩადიოდა გუშინ, როგორ ითანგებოდა თავისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში. ზოგს „საბჭოთა დროშის ქვეშ აღორძინებული" საქართველო ენადა, ზოგი წყევლა-კრულვით ახსენებდა „მენშევიკების საქართველოს" და საბჭოეთის მარადიულობას შესთხოვდა უფალს, ზოგი კიდევ ფიცსაც დებდა მშობლიური პარტიის წინაშე მარადი ერთგულებისას. მაგრამ გავიდა დრონი, დღეს კი ეს ხალხი რომის პაპს ეცილება კათოლიკობაში. თურმე ნუ იტყვით და ესენი ყოფილან მამულის თავისუფლებისათვის ნიადაგ მებრძოლი აბჯროსნები.

> დღეს მავანი და მავანი წამებულის მანტიას ისხამს, ყელს ილადრავს, მამულის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში ოქროს ქოჩრიან რაინდად მოაქვს თავი, მაგრამ ჩვენ ხომ გვახსოვს, ვინ სად იდგა და რას სჩადიოდა გუშინ

9 აპრილს დაცემულთა წმინდა სისხლი გახდა ჩვენი მამულის თავისუფლების საწინდარი, ამ წმინდა სისხლით განწმენდილ კელაპტარზე აგიზგიზდა ჩვენი თავისუფლების კელაპტარი. 2 წლის თავზე კი ჭეშმარიტად ეროვნულმა ხელისუფლებამ, საქართველოს პრეზიდენტმა ქვეყნიერებას ამცნო ჩვენი დამოუკიდებლობის აღდგენის შესახებ.

მაგრამ სულ მალე ჩვენი სახელოვანი ზეპური საზოგადოების ერთმა ნაწილმა, დემოკრატ პოლიტიკოსების ჯგუფმა ჯერ არნახული რევოლუციის შედეგად თავზე დაგვამხო ქვეყანა და მისი დამოუკიდებლობის აქტი.

ხოლო თუ რა დღე ადგას ჩვენს სამშობლოს, ვინ მართავს ჩვენს ქვეყანას, ჩვენს ქალაქებს, რეგიონებს, ვინ არის ეს ხალხი, ხომ ყველა ჩვენგანმა მშვენივრად იცის. ისინი იმ შავბნელი წარსულიდან გადმოსული, კომ.მაფიის ბუდეში დაჩეკილი გუშინდელი კომსომოლები და პარტიული ბოსები არიან, რომელნიც არაფერს დაგიდევდნენ სსრკ-ს შენარჩუნებისათვის.

მიხვდნენ რა, მათი რეჟიმის აღსასრულს ვერა ძალა რომ ვერ შეაჩერებდა, აქაც მათი ჩვეული გონებაგამჭრიახობა გამოიჩინეს. უსწრაფესად იცვალეს ფერი, სამოსი, სიფათები და მოგვევლინენ დამაშვრალ დემოკრატ მამულიშვილებად.

ურცხვად მიითვისეს, თუ რამ სათუთი და საფიცარი გააჩნდა ერს. ათეისტი ანტიქრისტენი დღეს თავგამოდებული „ღვთისმოსავები" გაგვიხდნენ. ადრე ხალხს ეკლესიაში შესვლისთვის სასტიკად რომ დევნიდნენ, დღეს ის პირები გვიმზერენ ტელეეკრანებიდან წმინდა სანთლებთან მდგომარენი. ვინც აბუჩად იგდებდა ჩვენს წარსულს, ჩვენს გმირ-მამულიშვილებსა და წმინდანებს, დღეს ისინი სასიქადულო ერისშვილებს ძეგლს უდგამენ.

ყოველივე წარგვტაცეს და მიითვისეს, მაგრამ ესეც დროებით, ახლა ასეა მათი კეთილდღეობისათვის საჭირო და მიტომ. ხვალ კი...

10-12 წლის წინ ქალაქის „მმართველები" გელათისაკენ მიმავალ ქუჩებს საგულდაგულოდ გმანავდნენ, მიმავალ ხალხს თავზე ახევდნენ წმინდა ხატებსა და დროშებს, ფეხქვეშ იგდებდნენ ყველას. 1988 წ. 8 ნოემბერს გელათის მონასტრის წინამძღვარს აუკრძალეს წმინდა ილია მართლის სულისმოსახსენებელი პარაკლისის გადახდა. ყოველ 8 თებერვალს კი მონასტერში ასვლა დიდ ძალისხმევას მოითხოვდა. მაგრამ დღეს ეს ხალხი გულში იხუტებს დიდი მეფეთ-მეფის სამარეს და აქეთ აღარ გვანებებს.

ყოველივე ეს რომ მართალი და ალალი იყოს, ჩვენზე ბედნიერი ქვეყანაზედ ვინ იქნება, მაგრამ ვაი რომ ამაო და ყალბია!

თითქოს ყველაფერი წარგვტაცეს, მიითვისეს, მაგრამ არა ყველაფერი; მხოლოდ რაც მათ სჭირდებოდათ, ის მიისაკუთრეს და ისიც დროებით, სანამ მათი კეთილდღეობისათვის არის სახეირო.

დღეს მართლაც ბევრი ცდილობს ხალხის გაბითურებას, მისთვის თვალებში ნაცრის შეყრას, წარსულის შელამაზებას და გაყალბებას.

მათი გაუთავებელი ყბედობა და დემაგოგია, დაუსრულებელი კვეხნა და თავის ქება მხოლოდ ზიზღსა და ირონიას იწვევს ჩვენს საზოგადოებაში.

„ხალხმა ყველაფერი იცის და არ სჯერა თქვენი ყალბი ფიცის." დადგება დრო, ადრე თუ გვიან, ყველას და ყველაფერს თავის ადგილს მიუჩენს, თავის სახელს დაარქმევს.

შეამსხვრევს და შეალეწავს იმ ყალბ ნიღბებს ავაზაკურ სიფათებზე, შემოახდის მოქარგულ მანტიებს და გააშიშვლებს ამა ქვეყნის ძლიერთ.

## დისკუსია

### გთავაზობთ ინტერვიუს ყოფილ პოლიტპატიმარ გოჩა მახვილაძესთან

*- ბატონო გოჩა, მე კიდევ ერთხელ მინდა, მკითხველის წინაშე გაიხსენოთ, როგორ გახდით პოლიტპატიმარი?*

- 1992 წლის 24 ივნისის პროვოკაციული მოვლენების დროს. დააპატიმრეს უამრავი ადამიანი, მაგრამ ეგრეთ წოდებული მანიფესტის შემდეგ გაათავისუფლეს სამასამდე კაცი. მე დამტოვეს ციხეში, არაფრის გამო, ვიყავი სრულიად უდანაშაულო. ეს არ იყო მანიფესტი, ეს იყო „კანონის აღსრულება", რომელიც შევარდნაძემ გამოიყენა დემოკრატიის მანტიის მოსხმის მიზნით. მათ უფლება ჰქონდათ პიროვნება დაეკავებინათ მაქსიმუმ ათი დღე პიროვნების დადგენის მიზნით, მაშინ დაწესებული კომენდანტის საათის დარღვევისათვის - ოცდაათი დღე. 24 ივნისიდან 3 აგვისტოს ჩათვლით ამოიწურა ყოველგვარი ვადა, ამიტომ შევარდნაძემ გამოიყენა სათავისოდ, წარსდგა მსოფლიოს წინაშე, როგორც „დემოკრატი" და „მიმტევებელი". ამიტომ დაარქვა ამ ყველაფერს შეწყალების მანიფესტი. ედუარდ შევარდნაძეს ამ ქმედებაში ნებსით თუ უნებლიეთ დიდად შეუწყო ხელი ვალტერ შურღაიამ, როცა სიტყვით გამოვიდა ხუნტის მიერ გამართულ მიტინგზე რესპუბლიკის მოედანზე. ასე გავხდი უკანონო პატიმრობაში მყოფი პოლიტპატიმარი.

*- პატიმრობაში რამდენი ხანი და-ყავით?*

- ექვს წელიწადს დააკლდა ოცდაათი დღე.

*- ბატონო გოჩა, სხვა დაკავებულები თუ გაუშვეს, თქვენ რატომ დაგტოვეს საპატიმრო წლების განმავლობაში?*

- ალბათ იმიტომ, რომ შევარდნაძეს არ დავუწერე ხელწერილი, რომ ის არის ხალხის მიერ არჩეული და დემოკრატი „პრეზიდენტი". მე სხვა აზრი ვერ გამომაქვს.

*- იქნებ გაიხსენოთ 1992 წლის 24 ივნისის მოვლენები?*

- ყველასათვის ცნობილია, რომ შევარდნაძე 24 ივნისს აფორმებდა მოღალატურ ხელშეკრულებას რუსეთთან დაგომისში, სამაჩაბლოსა და აფხაზეთის ტერიტორიების გასხვისებაზე. ეს იყო ხელისუფლების მიერ დადგმული პროვოკაცია. როდესაც ვალტერ შურღაია აცხადებდა, რომ აღდგა კანონიერი ხელისუფლება, ეს სიცრუე იყო. მაგრამ შენობაში აღმოჩნდნენ პროფესორ-მასწავლებლები, სტუდენტები, დაწყებული მძღოლიდან დამთავრებული უნივერსიტეტის ლექტორებამდე. სხვათაშორის, ქართველების გარდა, მონაწილეობდნენ სხვა ეროვნების მოქალაქეებიც. როდესაც მოხდა სროლა, შენობასთან დაიღუპა სომეხი ეროვნების მოქალაქე, გვარად მელოტონიანი.

ოცდაჩვიდმეტი დღის განმავლობაში წინასწარი დაკავების საკანში შეუსვენებლივ მცემდნენ და მაწამებდნენ. მახსენდება, როდესაც თვითონ დაიღალნენ ჩვენი ცემით, გარეთ მდგომებს ეძახდნენ - მოდით, ზვიადისტები გვყავს დაჭერილი და სცემეთო

მე მინდა აღვნიშნო, რომ იმ დღეს შევარდნაძემ ანგარიში გაუწია არა ცალკეულ პიროვნებებს, არამედ სრულიად საქართველოს.

ასევე მინდა ვთქვა, რომ შევარდნაძემ გაასამართლა კანონიერი ხელისუფლების ყველა აქცია, გარდა 27 ივნისისა. რატომღაც ეჭვი ამაზე არავის დაბადებია, იმიტომ, რომ ეს იყო დიდი პროვოკაცია. მახსენდება „დათა თუთაშხიადან" ეპიზოდი: როდესაც მუშნი ზარანდია დაკითხავს სტუდენტს და ამბობს: ჩვენ შენი სასამართლო არამც და არამც არ გვაწყობს, რადგან სასარგებლო შედეგს ვერ მივიღებთ. ეს სცენა ძალიან მაგონებს 24 ივნისის მოვლენებს.

*- დაახლოებით რამდენი კაცი შეეწირა ამ ტრაგიკულ ამბავს?*

- რამდენიმე კაცი ადგილზევე მოკლეს, დანარჩენი დააპატიმრეს და ექვსი კაცი გაუსამართლებლად დახვრიტეს: ბროძელი, მინდიაშვილი და გიორგაძე. საწყალი ერთი ბიჭი, ოქროყანაში მიდიოდა, სრულებით შემთხვევით მოხვდა პატიმრობაში.

*- თქვენი პატიმრობის დროს განხორციელდა თუ არა თქვენზე ფიზიკური და ფსიქიკური ზემოქმედება?*

- რა თქმა უნდა, ფსიქიკურთან ერთად ფიზიკურადაც გამისწორდნენ. ეს ჩვეულებრივი ამბავია, როდესაც ხუნტის სადამსჯელო რაზმს ხელში ჩაუვარდები. ოცდაჩვიდმეტი დღის განმავლობაში წინასწარი დაკავების საკანში შეუსვენებლივ მცემდნენ და მაწამებდნენ. მახსენდება, როდესაც თვითონ დაიღალნენ ჩვენი ცემით, გარეთ მდგომებს ეძახდნენ - მოდით, ზვიადისტები გვყავს დაჭერილი და სცემეთო.

*- ბატონო გოჩა, თქვენ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს შენობასაც იცავდით 1991-92 წლების მოვლენების დროს?*

- დიახ, პუტჩის პირველი წუთებიდან ბოლომდე. როდესაც 6 იანვარს გამოვედით, ჩემი თვალით ვნახე მეტეხის ხიდზე კანონიერი ხელისუფლების მომხრე უდანაშაულო ხალხის ავტობუსებში ჩაცხრილვა.

*- თქვენ, როგორც პრესაში გავეცანით, პუტჩის დღეებში კოლხურ კოშკსაც იცავდით, იქნებ გვიამბოთ...*



- ზუსტად რიცხვი არ მახსოვს, უზენაესი საბჭოდან რამდენიმე კაცი გადავედით კოლხურ კოშკში. ეს იყო საკმაოდ ძლიერი თავდასხმა ზვიად გამსახურდიას ოჯახზე, მიმდინარეობდა შეუსვენებლივ იერიში კოლხურ კოშკზე. გათენებიდან დაბინდებამდე იყო მცდელობა კოშკის შტურმით აღებისა და პრეზიდენტის ოჯახის მძევლად აყვანისა. ამ თავდასხმას ხელმძღვანელობდა გიორგი ყარყარაშვილი.

მე ძალიან კარგად მახსოვს, ჯერ კიდევ ომის დაწყებამდე ყარყარაშვილი სამ კაცთან ერთად იარაღგადაკიდებული იდგა მთავრობის სახლთან.

მე მინდა კიდევ ერთი ფაქტი გავიხსენო: 3 იანვარს საღამოს ტელევიზიით გამობრძანდა ირინა სარიშვილი და განაცხადა, რომ ზვიად გამსახურდია არ უნდა გაუშვათ საქართველოდანო. ამ გამოსვლის შემდგომ უკვე მოხდა თავდასხმა კოლხურ კოშკზე, სადაც იმყოფებოდნენ მხოლოდ ორი ქალი და ორი მცირეწლოვანი ბავშვი. ამ თავდასხმით უნდოდათ პრეზიდენტზე ზეწოლა მოეხდინათ.

*ესაუბრა* **ირაკლი შონია**

(გაგრძელება მომდევნო ნომერში)

## ღია წერილი ადვოკატ ზურაბ ტაბიძეს

გასული წლის 28 ოქტომბერს ვაჟაფშაველას პროსპექტზე მოკლეს თბილისის ივ.ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიკროეკონომიკისა და მენეჯმენტის ფაკულტეტის მე-4 კურსის სტუდენტი, ოზურგეთის რაიონის სოფ. ნატანების მკვიდრი ნიკოლოზ /ნიკა/ თავაძე. თავსდატეხილი უბედურების ნიადაგზე ნიკას დედამ, ნანული თავაძემ - ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატმა, კოლხეთის კლიმატური გამოცდის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის /დაბა შეკვეთილი/ განყოფილების გამგემ, ნატანების ო.ქინქლაძის სახელობის №2 საშუალო სკოლის ქიმიის მასწავლებელმა, მიიღო ჰემორაგიული ინსულტი და უმძიმეს მდგომარეობაში იმყოფება. ამიტომ მე ვარ დაზარალებულის /ჩემი დის/ უფლებამონაცვლე პირი, რამაც საშუალება მომცა გავცნობოდი ნიკა თავაძის მკვლელობის საქმეს /№0700852/, რომელიც ვაკის რაიონის პროკურატურამ გამოიძია.

ამ სიცრუით და სიყალბით გაჯერებულ საქმეში ყველაზე აღმაშფოთებელი თქვენი საჩივარია ვაკის რაიონის პროკურორის მიმართ /იხ. ნიკოლოზ თავაძის მკვლელობის საქმე, გვ. 164/, რომლითაც მოითხოვთ სისხლის სამართლის საქმის აღძვრას გარდაცვლილის მიმართ, ამიტომ მინდა საქმის ზოგიერთი დეტალი შეგახსენოთ, ბატონო ადვოკატო.

იმ საბედისწერო დღეს, საღამოს 7 საათზე, ნიკას თანაკლასელებმა დაურეკეს და სახლიდან გაიყვანეს. მათი ჩვენების მიხედვით, ტაქსით შინ ბრუნდებოდნენ, როცა მოჩხუბრებს გადაეყარნენ. თვითონ გაიქცნენ, ნიკა კი მკვლელებს შეატოვეს. კიდევ მეტიც, მათ საქმის ძიებას ხელი შეუშალეს არაგულწრფელი ჩვენებით, რაც ჩემში ბადებს ეჭვს, რომ ისინი ან ბრალეულნი არიან ამ ჩხუბში, ან დაშინებულნი, შეიძლება მოსყიდულნიც. ღმერთი იყოს მათი გამკითხავი.

განზრახ მკვლელობის ბრალდებით დაკავებულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნებისა და ჰუმანიტარული საგნების ფაკულტეტის / არასაბიუჯეტო, ფასიანი/ სწავლების მე-5 კურსის სტუდენტი გიორგი მოსაშვილი. მისი ჩვენების მიხედვით, მკვლელობა იმიტომ ჩაიდინა, რომ დაინახა მისი ძმის მიმართ დანამოღერებული პირი და სხვა გზა აღარ ჰქონდა, ამოიღო იარაღი, გადატენა, ტყვია სავაზნეში გაჭედა, მერე მეორედ გადატენა და ესროლა. ბატონო ადვოკატო, ბავშვიც კარგად მიხვდება, რამხელა კუდი მოუჩანს მამალს ამ სიცრუეში. როგორ, მოძალადე კაცის მოკვლის მსურველი, დანაამართული რამდენ წამს საჭიროებს მიზნის მისაღწევად - ერთს, სამს, ვთქვათ, ხუთს. იარაღის ამოღება, მისი ორჯერ გადატენა, მერე ფეხებში დამიზნება და ა.შ. როგორ ფიქრობთ, რამდენ დროს მოითხოვს, არ დაფიქრდით ამაზე? ვთქვათ, არ გვქონდეს ლოგიკა და არც საზრისი ამ ტყუილის გასაანალიზებლად, ექსპერტიზის დასკვნა ხომ ხელთ გქონდათ /იხ. ექსპერტიზის დასკვნა № 367, გვ. 122/, სადაც შავით თეთრზე წერია, რომ "... ნიკოლოზ თავაძის ტანსაცმელზე აღინიშნება დაზიანებები... და ა.შ. გარდა ამისა, ხომ ნახეთ ვაკის პროკურატურაში ნივთმტკიცებისათვის დაცული ნიკას დაჩეხილი ტანსაცმელი, მითხარით, ბატონო ადვოკატო, ნიკას დანა ეჭირა და საკუთარ სხეულს იჩეხდა, თანაც ზურგიდანაც? გრცხვენოდეთ ამ ცილისწამებისათვის.



ნიკა თავაძეს უაღრესად დადებით პიროვნებად ახასიათებენ. "მის სიკვდილს არა მარტო მისი ოჯახის, არამედ ქვეყნის უბედურებად მიიჩნევენ" (იხ. "იბერია-სპექტრი", 2000 წ. № 346), რაც დასტურდება, აგრეთვე, თანასოფლელების მიერ რაიონის დეპუტატის, ამჟამად შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილის ზურაბ ჩხაიძისადმი გაკეთებულ მიმართვაში. ასევე ნიკას პროფესორ-მასწავლებლებისა და თანაკურსელების და თბილისელი მეზობლების მიერ გენერალური პროკურორისადმი გაკეთებული მიმართვებით, სულ 1200-ზე მეტი ხელმოწერით.

ვაჟკაცი ბიჭი იყო ნიკა. ის დედის შეგინებას არავის აპატიებდა, არც კლასელისთვის წიხლის ჩარტყმას მოუთმენდა ვინმეს, არც გვერდით მყოფს მიატოვებდა გასაჭირში. მჯერა, იგი კაცურად იბრძოდა, ოღონდ მუშტით, რასაც მისი დალურჯებული ხელის მტევნებიც ადასტურებდა (იხ. ექსპერტიზის დასკვნა № 367 გვ. 122) და არა იარაღით. ფხიზელიც ასე მოიქცეოდა და ნასვამიც. ვინც მას იცნობდა, ყველა დაადასტურებს, რომ ნიკა ნასვამ მდგომარეობაში კონტროლს არასოდეს კარგავდა.

მინდა გამოვიყენო შესაძლებლობა და მადლობა ვუთხრა ყველა იმ ადამიანს, ვინც ექსპერტიზა ჩაატარა, მათ ჩვენ გადაგვარჩინეს ხელმეორედ კერძო ექსპერტების მოწვევის აუცილებლობას და უფრო მეტიც, უმძიმესი დრამის-ექსჰუმაციის საჭიროებას. ღმერთი იყოს მათი მფარველი.

ბატონო ადვოტაკო, თქვენ შეეცადეთ ბრალდებული და მისი თანამონაწილენი გულმოწყალე და კეთილშობილ არსებებად წარმოგვეჩინათ. თითქოსდა მათ იზრუნეს კიდეც მსხვერპლზე და ბრალდებულიც თავისით გამოცხადდა პოლიციაში. "განზრახ მკვლელები ასე არ იქცევიანო" - წერთ თქვენ.

ადვოკატმა ყველა ხერხს უნდა მიმართოს ბრალდებულის დასაცავად. მაგრამ ყველა ხერხში არაფრით არ ჯდება ცილისწამება და სიცრუე. ადვოკატის ფუნქციაა დაეხმაროს ბრალდებულს თავისი სიმართლის (თუ ასეთი არსებობს) წარმოჩენასა და დამტკიცებაში

სიმართლე კი ასეთია: გასროლისთანავე მოჩხუბრებთან ორი მანქანა გაჩერდა. პირველს ვაკის №2 პოლიციის ოპერმუშაკი რ. მახარაძე მართავდა, მეორეში კი პოლიციის უფროსი იჯდა. მახარაძემ მანქანაში ჩაისვა მომაკვდავი და ბრალდებულის ძმა, ხოლო პოლიციის უფროსმა ბრალდებული თავის თანამონაწილესთან ერთად პირდაპირ პოლიციაში წაიყვანა. რესპუბლიკურ საავადმყოფოში პოლიციის თანამშრომელს დიდი ძალისხმევა დასჭირდა ბრალდებულის ძმის დასაკავებლად. პოლიციაში კი უკვე "გაბმულმა" ძმებმა ოპერ-მუშაკებს მუშტი-კრივი გაუმართეს. სამწუხაროდ, გამოძიებამ ეს ფაქტი არ დააფიქსირა. ვთქვათ, ეს არ იცოდით. ბრალდებულის მეგობრის და ჩხუბის მონაწილის გიორგი ლალებაშვილის ჩვენებას ხომ მაინც იცნობდით. აი რას წერს ის / იხ. ნიკოლოზ თავაძის მკვლელობის საქმე, გვ. 137/ "... ამ დროს ჩვენთან გაჩერდა ერთი მანქანა, რომელშიც ჩვენ ყველამ ჩავსვით დაჭრილი, იმ მანქანაშივე ჩაჯდა ირაკლიც და წავიდნენ საავადმყოფოში. შემდეგ გაჩერდა მეორე მანქანაც, რომელშიც ჩავსხედით მე და გიგი /გიორგი მოსაშვილი მ.თ./. გავყევით წინა მანქანას უკან. ჩვენ სადაც ჩავჯექით, აღმოჩნდა პოლიციის თანამშრომლის მანქანა და მათ მიგვიყვანეს პოლიციაში, სადაც ჩამომართვეს ახსნა-განმარტება..." /სტილი დაცულია/.

რას იტყვით, ბატონო ადვოკატო, მათ იზრუნეს მსხვერპლზე და თავისით მივიდა ბრალდებული მოსაშვილი პოლიციაში? თქვენ აქაც ცრუობთ. კიდევ კარგი, პროკურატურა და სასამართლო არ აჰყვა თქვენს ავანტიურას.

დათვალეთ, ბატონო ადვოკატო, რამდენი მოჩხუბარი იბრძოდა ნიკას წინააღმდეგ მკვლელობის მომენტში. ლაჩარი თანაკლასელები ხომ მაშინვე გაიქცნენ. იარაღიც რომ ჰქონოდა ნიკას /მაპატიოს მისმა სულმა ასეთის დაშვებისათვის/, ამდენ კაცს, თანაც როგორც ხშირად უსვამენ ხაზს "სპორტსმენს", მაინც უნდა მოეხერხებინა მასთან გამკლავება. ისინი ხომ "ფხიზლები"-ც /?/ იყვნენ. ეტყობა, ნიკა ახერხებდა დანისგან თავის დაღწევას, ამიტომ ესროლეს მუხანათურად ზურგიდან.

გასული წლის გაზეთ "იბერია-სპექტრი" /№ 346/ ქ.ქართველიშვილი წერდა: "ყველა მკვლელი სატანასთანაა წილნაყარი, ამაზე ვდაობთ, მაგრამ უნდა ვამხილოთ სატანის მსახურნიც, რომლებიც უღვივებენ მას ბოროტებათა თესვას. განა თანაკლასელები, რომლებმაც ნიკა მოჩხუბრებს შეატოვეს და ოჯახსაც არ გააგებინეს ამის შესახებ, სატანის მსახურნი არ არიან? განა მკვლელის ოჯახის წევრები, რომლებმაც იცოდნენ ოჯახში იარაღის არსებობის შესახებ, სატანას მსახურნი არ არიან? ჩხუბის წამომწყებნი სატანის მსახურნი არ არიან?"

სამწუხაროა, ბატონო ადვოკატო, რომ თქვენც სატანის სამსახურში ჩადექით.

როცა გაზეთ "მეოთხე"-ში /2000 წ. 24. XI- 1.XII/ გამომძიებელ ზაზა კვირკველიასთან ინტერვიუში მის მიერ ნათქვამი მტკნარი სიცრუე - "ძმებმა თვითონ მიიყვანეს დაჭრილი საავადმყოფოში"-ო ნიკას უბედურმა დედამ წაიკითხა, დაიჯერა და ჯერ კიდევ ინსულტამდე წერილი დაწერა, სადაც მკვლელის შეწყალებას ითხოვს. წერილი თავისი მოქალაქეობრივი ჟღერით მრავალმხრივაა საინტერესო. მას უსათუოდ გავაცნობთ საზოგადოებას, სამწუხაროდ, არა იმ მიზნით, რისთვისაც დაიწერა.

სინანული რომ გვეგრძნო, ცილისწამებისა და სიცრუის ბინძური გზა რომ არ აგერჩიათ, ჩვენ პირველი მოვითხოვდით ბრალდებულის გათავისუფლებას, ოღონდ არა თქვენეული გზით.

ვიცი, თავს გაიმართლებთ იმ მოტივით, ადვოკატმა ყველა ხერხს უნდა მიმართოს ბრალდებულის დასაცავად. გეთანხმებით, მაგრამ ყველა ხერხში არაფრით არ ჯდება ცილისწამება და სიცრუე. ადვოკატის ფუნქციაა დაეხმაროს ბრალდებულს თავისი სიმართლის (თუ ასეთი არსებობს) წარმოჩენასა და დამტკიცებაში, რითაც ის, პირველ რიგში, დიდი სამსახურს უწევს პროკურატურას და სასამართლოს.

დასანანია, რომ ბრალდებულის ქმედებაში ვერაფერი იპოვეთ გამამართლებელი და ცილისწამებისა და სიცრუის გზა აირჩიეთ. სრული საფუძველი მაქვს ამისათვის სარჩელი აღვძრა და კომპენსაცია მოგთხოვოთ. მე ამას არ ვიზამ.

ერთს შეგახსენებთ მხოლოდ...

"არ სცე თაყვანი მათ, არც ემსახურო, რადგან მე ვარ უფალი, თქვენი ღმერთი, შურისმგებელი ღმერთი, რომელიც მამათა ცოდვას შვილებს მოჰკითხავს, ჩემს მოძულეებს მესამე და მეოთხე თაობაში" (ბიბლია, 1989, გვ. 185).

დაფიქრდით, ბატონო ადვოკატო!

**მარგო თავაძე**
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი

## ჩვენი რწმენა

ღვთივკურთხეულ დღეთა მადლი მოეფინა სამყაროს. მართლმადიდებელი ეკლესია 7 და 8 აპრილს აღნიშნავს ბრწყინვალე დღესასწაულებს: ხარებას, ბზობასა და ლაზარეს აღდგინებას, რომელთაც ღვთის ნებით, პატრიარქის კურთხევით შეუერთდა ქართული ენის დღე „ქებან და დიდებან ქართულისა ენისან".

ხარების ბრწყინვალე დღე ათორმეტთაგან უძრავი დღესასწაულია. ღმერთის წინაშე ქალწულობის აღქმა დადებული 14 წლის მარიამი ეკლესიის მამებმა მართალ იოსებს ჩააბარეს საპატრონოდ.

ერთხელ საღმრთო წიგნის კითხვისას წმიდა ქალწულს მთავარანგელოზი გაბრიელი გამოეცხადა და ამცნო: „შენგან იშვების ძე, რომელსაც უწოდებ იესოს (მაცხოვარს)". გაკვირვებულ მარიამს განუმარტა ღვთის მოციქულმა, რომ მასზე გარდმოვიდოდა სულიწმიდის მადლი და მისით შობდა იგი ძეს ღვთისას". ყოვლადნეტარმა ქალწულმა მადლი შესწირა უფალს: მე ვარ მხევალი ღვთისა, დე იყოს ნებისამებრ შენისა". ასე ეუწყა კაცობრიობას ღვთის უდიდესი მოწყალება, რომ იშვებოდა მხსნელი სოფლისა.

### ხარების ტროპარი

*„დღეს ცხოვრებისა ჩუენისა თავი არს, და საუკუნითგან დაფარულისა მის საიდუმლოისა გამოცხადებაჲ, რამეთუ ღმრთისაჲ ძჱ ქალწულის იქმნების, და გაბრიელ ახარებს მადლსა მას, რომლისა ჩუენცა მასთანა ღაღადვყოთ: გიხაროდენ, მიმადლებულო უფალი შენთანა!"*

ბზობის ბრწყინვალე დღესასწაული მოძრავი საუფლო დღეა. ამ დღეს, პასექამდე 6 დღით ადრე, დიდებით შევიდა იესო ქრისტე იერუსალიმში. ხალხი გზადაგზა ეგებებოდა და თაყვანისცემის ნიშნად ტანსაცმელებსა და ყვავილებს უფენდა მაცხოვანს ფეხქვეშ, ხალხი, რომელმაც ერთ კვირაში ცვარცმისთვის გაიმეტა იგი. ქალაქში შესული იესო ტაძარში მივიდა, განდევნა იქიდან ვაჭრები, განკურნა ბრმები და ხეიბრები. განრისხებული ფარისეველნი მისი დასჯისათვის ემზადებოდნენ, ეკლესიიდან კი ბავშვების საამო გალობა ისმოდა: „ოსანა მაღალთა შინა, კურთხეულ არს მომავალი, სახელითა უფლისათა"!



### ბზობის ტროპარი

*„ყოველთა აღდგომისა პირველ ჟამისა შენისა მოასწავებდით, ამისთვისცა მეგობარი შენი, ლაზარე მკუდრეთით აღადგინე, ქრისტე ღმერთო, რომლისათვის ჩვენცა, ვითარცა შვილნი ებრაელთანი შეგწირავთ შენდა ძლევისა გალობასა, რომელმან დათრგუნე სიკვდილი: ოსანა მაღალთა შინა, კურთხეულ არს, მომავალი სახელითა უფლისათა!"*

7 აპრილს კიდევ ერთ ღირსშესანიშნავ დღეს აღნიშნავს მართლმადიდებელი ეკლესია. იგი უფალს ერთ-ერთ სასწაულს, ლაზარეს მკვდრეთით აღდგინებას ზეიმობს.

სოფელ ბეთანიაში ცხოვრობდა ქრისტეს მეგობარი ლაზარე თავისი ორი დით - მართათი და მარიამითურთ. იესო ხშირად სტუმრობდა ამ ღვთისმოყვარე ხალხს. ერთხელ, როცა უფალი იქ არ იმყოფებოდა, ლაზარე დასნეულდა და გარდაიცვალა. იგი დაასაფლავეს. ოთხი დღის შემდეგ მივიდა უფალი მართასა და მარიამთან. როცა ისინი მწარედ ატირებული იხილა, თავადაც ცრემლი მოერია მას. მაშინვე წავიდა ლაზარეს საფლავთან, ქვის გადაგორება უბრძანა ირგვლივ მყოფთ, ილოცა და შემდეგ ხმამაღლა დაიძახა: „ლაზარე! გამოვედ გარეთ!" სუდარაში გახვეული ლაზარე ადგა და გარეთ გამოვიდა. მაშინ ბევრმა ირწმუნა ქრისტე.

ამ ბრწყინვალე დღესასწაულის მისტიური გამომხატველია იოანე ზოსიმეს „ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ". იგი არა მარტო ქართული ენის, არამედ მთელი ქართული მოდგმისა და გენის საგალობელია.

არაერთი მეცნიერი შეხებია ამ იდუმალებით მოცულ ღვთაებრივ სიმფონიას, მრავალს უცდია მისი ამოხსნა. 2000 წელს ქართულმა ეკლესიამ ქართული ენის დღედ ლაზარეს აღდგინების შაბათი შერაცხა. დაიწერა საგალობელი ზოსიმესეულ ტექსტზე.

ქართველი ერისა და ბიბლიისეული ლაზარეს სიმბოლურ ერთიანობას უძღვნა ზვიად გამსახურდიამ ესსე „ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ", იგი წინასწარ ჭვრეტდა თითქოს ღვთის ნებას, ეკლესიურად ამ ორი დღის გაერთიანებას: „ქართული ენა ლაზარეა ყველა ენებს შორის, იგი პირველადი ენაა, მთავარი ენაა, ისევე როგორც ლაზარე-იოანე იყო მთავარი მოციქული იესო ქრისტესი, მოწაფე, რომელიც უყვარდა იესოს და რომელიც იყო მისი სულიერი მეგობარი. იგი იყო ამავე დროს ძეობილი ღვთისმშობლისა, ისევე, როგორც საქართველო-ღვთისმშობლის წილხვდომილი".

სწორედ ეს ღვთიური მისტერიაა გადმოცემული მის ერთ-ერთ ლექსშიც „ლოცვა":

„უფალო, გვედრი, დაიფარე მამული ჩემი,
შენი წილხვდომილი, კვართმომადლებული,
მარად სხივოსანო უკვდავთა თემი,
სადაც წარმოგზავნე ბარძიმი ქებული.
რად გარდმოავლინე ვერძი ზეციური,
და ოქროს საწმისის მადლი მზიური
აღმოაცისკროვნე ვით წყარო ცხოველი,
სადაც ზიარებით აღზევდეს ყოველი.
სად ვსახე დავითი მეფე და მგოსანი
და სვეტიცხოველი ჰყავ გვირგვინოსანი.
შენი ბარძიმია წმიდა ივერია,
მისი განმართლება შენს ცაზე სწერია,
შენს თანა ჯვარცმული, შენს თანა ვნებული,
გულს ლახვარსობილი, საფლავს დადებული,
შენს თანა დაფლული, ოთხი დღისა მკვდარი,
ღმერთო, აღადგინე და მიეც ჯვარი!
ცათა დიდება ხარ და თემთა მთენი,
აკურთხე, უფალო, სამკვიდრო შენი!"

**მასალა მოამზადეს ლუიზა ხაჭაპურიძემ და თეა ცირეკიძემ**

## მეცნიერება

# როლან ბარტი:

## მოახდინეთ რევოლუცია, გაანადგურეთ ძალაუფლება. სულერთია, ის კვლავ აღსდგება და აყვავდება საგანთა ახალ მდგომარეობაში.

მაშ ასე, დღეს მე ვილაპარაკებ ძალაუფლებაზე. მართალია, არაპირდაპირ, თუმცა მუდმივად დავუბრუნდები ამ თემას. თანამედროვე გულუბრყვილო ადამიანები ძალაუფლებაზე ისე ლაპარაკობენ, თითქოს იგი ერთიანი და ერთადერთი იყოს: ერთი მხრივ, არსებობენ ისინი, ვინც ფლობს ძალაუფლებას, მეორე მხრივ კი, - ისინი, ვინც მას არ ფლობს; ოდესღაც ჩვენ მიგვაჩნდა, რომ ძალაუფლება უპირესად პოლიტიკური ფენომენია, ახლა კი ვფიქრობთ, რომ ის, აგრეთვე, იდეოლოგიური ფენომენია, რომელიც შეღწეულია იქაც კი, სადაც, პირველი შეხედვით, მისი პოვნა გაძნელდება - სოციალურ ინსტიტუტებში, სასკოლო დაწესებულებებში და სხვაგან. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ იმაში მაინც ვართ დარწმუნებული, რომ ძალაუფლება ერთიანია და რა იქნება, თუკი იგი მრავლობითია, თუკი ძალაუფლებები ისევე მრავალია, როგორც ეშმაკები? „ჩემი სახელი ლეგიონია" - შეეძლო ეთქვა საკუთარ თავზე ძალაუფლებას: ყველგან, ყველა მხრიდან გარემოცულნი ვართ მესაძლო ლიდერებით, უშველებელი თუ პატარ-პატარა ადმინისტრაციული აპარატებით, ზემოქმედებისა და გავლენის ჯგუფებით. სადაც არ გაიხედავ, ყველგან ისმის ხმები, რომლებიც თავიანთ თავზე იღებენ პასუხისმგებლობას - მოიტანონ ჩვენამდე აღმატებული დისკურსი - ძალაუფლების დისკურსი. ჩვენ თანდათან ვსწავლობთ, რომ ძალაუფლება ჩაქსოვილია სოციალური მიმოცვლის უკიდურესად დახვეწილ მექანიზმში, რომ იგი განხორციელებულია არა მარტო სახელმწიფოში, კლასებში ან ჯგუფებში, არამედ, აგრეთვე, მოდაში, გავრცელებულ შეხედულებებში, სანახაობებში, თამაშებში, სპორტში, ინფორმაციის საშუალებებში, ოჯახურ და კერძო ურთიერთობებში. ძალაუფლება ჩაბუდებულია ყველგან, თვით თავისუფლებით აღტკინებაში, რომელიც მის ამოძირკვას ცდილობს. მე ძალაუფლების დისკურსს ვარქმევ ნებისმიერ დისკურსს, რომელიც ბადებს ჩადენილი დანაშაულის ან შეცდომის განცდას, აქედან გამომდინარე კი, დამნაშავეობისას მათში, ვისზედაც მიმართულია ეს დისკურსი.

ვიღაცეები ჩვენგან, ინტელექტუალებისაგან მოითხოვენ, ნებისმიერი საბაბით წინ აღვუდგეთ ძალაუფლებას. სინამდვილეში ეს ის სივრცე არაა, სადაც ნამდვილი ბრძოლა მიმდინარეობს. ჩვენ ამ ბრძოლას ვაწარმოებთ ძალაუფლების მთელი მრავალსახეობის წინააღმდეგ და ეს არაა ადვილი ბრძოლა, რადგან, გარდა იმისა, რომ ძალაუფლება მრავლობითია სოციალური სივრცის სფეროში, იგი ამავე დროს მარადიულია ისტორიულ დროში: გაძევებული, კარებში გაგდებული, იგი ფანჯარაში გამოგვეცხადება. იგი უკვდავია: მოახდინეთ რევოლუცია, გაანადგურეთ ძალაუფლება. სულერთია, ის კვლავ აღსდგება და აყვავდება საგანთა ახალ მდგომარეობაში. ამ სიცოცხლისუნარიანობისა და ყველგანმყოფობის მიზეზი იმაშია, რომ ძალაუფლება პარაზიტული წარმონაზარდია ტრანსსოციალურ ორგანიზმზე, წამონაზარდი, რომელიც კაცობრიობის მთლიან ისტორიაზეა შეხორცებული და არა მხოლოდ მის პოლიტიკურ, ისტორიულ ისტორიაზე. ობიექტი, რომელზეც დროის დასაწყისიდანვე ჩაბუდებულია ძალაუფლება, თავად ენობრივი მოქმედებაა ან, უფრო ზუსტად, მისი გარდაუვალი გამოხატულება - ენა.

ენობრივი მოქმედება კანონშემოქმედებით საქმიანობას ედარება, ენა კი მის კოდს წარმოადგენს. ჩვენ ვერ ვამჩნევთ ენაში დაფარულ ძალაუფლებას, რადგან გვავიწყდება ენის კლასიფიკატორული ბუნება და ისიც, რომ ყოველნაირი კლასიფიკაცია ძალადობაა. ლათინური სიტყვა ordo ორ მნიშვნელობას ფლობს: „წესრიგი და მუქარა". როგორც იაკობსონმა აჩვენა, ნებისმიერი ბუნებრივი ენა განისაზღვრება არა მარტო იმით, რომ მოლაპარაკეს ლაპარაკის შესაძლებლობას აძლევს, არამედ უფრო იმით, რომ აიძულებს ილაპარაკოს. მაგალითად, თუ ვლაპარაკობთ ფრანგულად (ვამბობ, რაც პირველად თავში მომდის), იძულებული ვარ თავიდან საკუთარი თავი აღვნიშნო, როგორც სუბიექტი და მხოლოდ ამის შემდეგ აღვნიშნო ჩემს მიერ ჩადენილი მოქმედება, რომელიც ამ წესით აღმოჩნდება არც მეტი, არც ნაკლები, ჩემი ატრიბუტი. გამოდის, რომ რასაც მე ვაკეთებ, მხოლოდ შედეგია და გამომდინარეობს იქიდან, რასაც მე წარმოვადგენ; იძულებული ვარ ასევე ავირჩიო ქალის ან მამაკაცის სქესი, საშუალო ან საერთო სქესი კი ჩემთვის აკრძალულია; ზუსტად ასევე, სხვასთან მიმართვის გამოსახატავად უნდა გამოვიყენოთ ან „შენ", ან „თქვენ" ნაცვალსახელი, მათი ემოციური თუ სოციალური ნეიტრალიზაცია ჩემთვის მიუღწეველია. ასე რომ, ენაში უკვე მისი სტრუქტურის გამო ფატალური გაუცხოება ჩადებული. ილაპარაკო, ან მით უმეტეს იმსჯელო, სულაც არ ნიშნავს კომუნიკაციურ აქტში შესვლას (როგორც ეს ხშირად გვესმის); ეს ნიშნავს, დაიქვემდებარო მსმენელი: ენა მთლიანად იძულების საერთო სავალდებულო ფორმას წარმოადგენს.

თავს ნებას მივცემ რენანიდან ერთი ადგილი მოვიყვანო: „ფრანგული ენა, ბატონებო, - ამბობდა ის ერთ თავის ლექციაში, - არასდროს არ იქცევა აბსურდის ენად და მით უმეტეს, რეაქციულ ენად; მე ვერ წარმომიდგენია ცოტათი მაინც სერიოზული რეაქციული მოძრაობა, რომლის იარაღადაც ფრანგული ენა გამოდგეს". თავისებურად რენანი შორსმჭვრეტელი აღმოჩნდა. მან იგრძნო, რომ ენა არ დადის მხოლოდ ინფორმაციის გადაცემამდე, რომ ის რაღაც სხვასაც გვამცნობს, რაც სუბიექტის რაციონალურ, გაცნობიერებულ ხმას თან ერთვის - ძალაუფლებრივი, დაჟინებული, ულმობელი ხმა თავად სტრუქტურისა, გვარობრივი კატეგორიის მოლაპარაკე ხმა. რენანის შეცდომას აქვს არა იმდენად სტრუქტურული, რამდენადაც ისტორიული ხასიათი. ის თვლის, რომ თავად გონების მიერ ფორმულირებული ფრანგული ენა გვავალდებულებს გამოვხატოთ ისეთი პოლიტიკური აზროვნება, რომელიც არსებითად მხოლოდ დემოკრატიული შეიძლება იყოს, არადა ენა, როგორც ყოველგვარი ენობრივი საქმიანობის პერფორმაცია, არც რეაქციულია და არც პროგრესული; ის ჩვეულებრივი ფაშისტია. ფაშიზმის არსი მდგომარეობს არა იმაში, რომ აგვიკრძალოს, არამედ იმაში, რომ გვაიძულოს ვილაპარაკოთ.

როგორც კი ენა მეტყველების აქტში გადავა (თუნდაც ეს სუბიექტის დაფარულ სიღრმეში სრულდებოდეს), ის მაშინვე ძალაუფლების სამსახურში აღმოჩნდება. შეუქცევადად წარმოიქმნება ორი პოლუსი: პოლუსი ავტორიტარული მტკიცებისა და პოლუსი განმეორებისადმი მასობრივი მიდრეკილებისა. ერთი მხრივ, ენა დამამკვიდრებელია: უარყოფა, ეჭვი, გულისხმობა, ყოყმანი საკუთარ მსჯელობასთან მიმართებაში - ეს ყველაფერი სპეციალურ ოპერატორებს მოითხოვს, რომელიც, თავის მხრივ, ენობრივ ნიღაბთა თამაშში არიან ჩართულნი. მოვლენა, რასაც ლინგვისტები მოდალობას არქმევენ, წარმოადგენს თავისებურ სამაგრებს ენაზე, რომელთა საშუალებითაც მე ვცდილობ მისაღები გახდეს მისი ულმობელი, მაკონტროლებელი ძალაუფლება. მეორე მხრივ, ნიშნები, რომლებიც ენას აყალიბებენ, მხოლოდ იმდენად არსებობენ, რამდენადაც გამეორებას და შემეცნებას ექვემდებარებიან, სხვა სიტყვებით, რამდენადაც ისინი განმეორებადია; ნიშანი არაა დამოუკიდებელი, იგი მასობრივია, თითოეულ ნიშანში თვლემს ერთი და იგივე ურჩხული, რომლის სახელი სტერეოტიპია. მე ლაპარაკს მოვახერხებ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ავიღებ იმას, რაც გაბნეულია თავად ენაში. როგორც კი ავლაპარაკდები, ორივე პოლუსი შეერთდება ჩემში: მე გავხდები ბატონიც და მონაც ერთდროულად. მე ვერ დავკმაყოფილდები იმის გამეორებით, რაც ჩემამდე იყო ნათქვამი, ვერ მოვთავსდები ნიშანთა მეზღუდულობაში. მე ვლაპარაკობ, ვამტკიცებ რამეს - მე უარვყოფ ყველაფერს, რასაც ვიმეორებ.

აი ასე ენაში მონობა და ძალაუფლება ერთმანეთშია გადახლართული, თუკი თავისუფლებას არა მარტო ნებისმიერი ძალაუფლებიდან გასხლტომას დავარქმევთ, არამედ იმასაც - არ ვაიძულო, ზემოქმედება არ მოვახდინო ვინმეზე, აღმოჩნდება, რომ თავისუფლება მხოლოდ ენის გარეთაა შესაძლებელი. უბედურება ისაა, რომ ენის გარეთ ვერ გავალთ; ეს ჩაკეტილი სივრცეა. აქედან გაღწევა შეუძლებელის ფასად ხდება - ან მისტიკური ერთიანობით, რაზედაც კირკეგორი წერს, განსაზღვრავს რა აბრაამის მსხვერპლშეწირვას, როგორც მიუღებელ უმაგალითო აქტს, უცხოს ყველასათვის, თვით შინაგანი სიტყვისთვისაც კი და რომელიც მიმართულია ენის საყოველთაობის, ჯოგურობის, მორალურობის წინააღმდეგ; ან კიდევ ნიცშეს მოზეიმე და მხიარული იერიშით, რომელიც წარმოადგენს დარტყმას ენის მონურობაზე, რასაც დელიოზი საფარველს, ზედაპირს ეძახის და რომელიც რეფლექსებიდანაა მოქსოვილი, თუმცა ჩვენ, ადამიანებს, რომელიც არც რწმენის რაინდებს წარმოვადგენთ და არც ზეკაცებს, არაფერი არ გვრჩება, გარდა იმისა, რომ ვიეშმაკოთ ენასთან, გავაბრიყვოთ იგი. ეს გადამრჩენელი ეშმაკობაა. ეს თაღლითობა, ეს ბრწყინვალე სიცრუე გვტოვებს ძალაუფლებისგან დაცლილ ენასთან და ჩვენ გვესმის იგი - ენა, რომელიც მთელი თავისი სიდიადით ხორცს ასხამს სიტყვის პერმანენტული რევოლუციის იდეას, - რომელსაც მე ჩემი მხრიდან ლიტერატურას ვარქმევ.

*თარგმნა თამაზ ებანოიძემ*

## პოეზია

### კოლხური კოშკი

აქ ფიცსა დებს საქართველო,
რომ მტერს არ ემონება,
აქ სიცოცხის აზრი რთველობს,
აქ მწიფს ერის გონება.

ქართულ სიტყვას დიდოსტატი
აქ კვლავ ელაციცება,
ამ ეზოში ისევ დადის
ძველისძველი დიდება.

აქ ბატონი კონსტანტინე
შვილს კვლავ გზაზე აცილებს,
რომ დაუდგეთ დღენი მძიმე
ორგულებს და მაცილებს.

იქ ზვიადი წერს მამულის
გადარჩენის ქარტიას,
ომში იწვევს ცივ სამუმებს
და მზესავით ანთია.

აქ კვლავ უდგას თავდადებით
ძმას ძმა ქრისტესმიერი,
მტერს აცოფებს გმირი ძმების
შეუცვლელი იერი.

აქ გაუძლო ცეცხლს და მახვილს
ჩვენი რწმენის კედლებმა,
შეხეთ მზის მკერდს, ტყვიადახლილს,
მაინც არ იფერფლება!

აქ ყოველმა კენჭმა ქვეყნის
ბედი გაიზიარა,
გულით დააქვს კოშკს დამეხილს
საქართველოს იარა.

აქ იმედიც აგვიმზევდა,
ფიქრს ხორცშესხმულს მოველით -
აქ კვლავ დადგა ქართვლის დედა
ლომის ორი ბოკვერით.

აქ, აქ უნდა დადგეს ახლა
საქართველო სრულიად,
ვინც არ იცის ომში დაღლა
და ქრისტეს გზით უვლია.

მოვამუშოთ გული ცხელი
ერისკაცთა ხატებას
და კოლხური კოშკის კერით
სამშობლო კვლავ გათბება!

**ჯემალ შონია**

# კარიკატურისტის კომენტარები



„თუ ეს ხელისუფლება კიდევ რამდენიმე წელს დარჩა (ღმერთმა დაგვიფაროს!), საქართველოში მილიონ ადამიანზე მეტი არ დარჩება: ზოგი შიმშილით მოკვდება, ზოგი - ნერვიულობით; ვინც გადარჩება, დატოვებს ქვეყანას... აქ დარჩებიან მხოლოდ მღრღნელები და დაბეჩავებული ადამიანები.

*ბესო ჯუღელი*
*„ახალი ერა“*



„მოხუცი კაცი ახალგაზრდა ცოლს რომ მოიყვანს, მარტო რესტორნებში დაატარებს და არც კი იცის, რომ ცოლს სხვა რამეც სჭირდება. დაახლოებით ისეთ დღეში არიან ჩვენი ვაირეფორმატორები“.

*ქართლოს ღარიბაშვილი.*
*„ასავალ-დასავალი“ № 14*

## ჩვენი ბედოვლათობა

### ჰეი, თქვენ, ბიზნესმენებო, გაუმაძღარნო ფულითა!

*„ეხლა, მინამ რუსებს საქართველოში ჯერ ფეხი არ აქვთ გამაგრებული, ეხლა უნდა დავესხათ და გავრეკოთ აქედან, თორემ თუ ამათ აქ ფეხი გაიმაგრეს, მაშინ მათი გაძევება ჩვენი მომავალი თაობისათვის ძნელი იქნება".*

*ფილადელფოს კიკნაძე, 1832 წ.*

სამწუხაროდ, კარგი ქართველის ეს სიტყვები არც ისმინეს და კიდევაც ახდა. ორი საუკუნე იწურება და რუსეთის იმპერიული რვაფეხას საცეცები კიდევ ვერ მოგვიშორებია. ახლა მაინც შევისმინოთ სამშობლოს თავისუფლებისათვის შეწირული დიდი ქართველის გაფრთხილება. მით უმეტეს დღეს, როდესაც ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების მიერ მოპოვებული საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და აღდგენილი ეროვნულ-კაცობრიული ცნობიერება რუსეთის იმპერიის მოტრფიალე „ქართველთა" ხელშეწყობით გაზაფხულის თოვლივით დნება.

იმპერიას კი საოკუპაციო ჯარის „ნებაყოფლობითი" თუ „სამშვიდობო" სახელით სურს მისი დატოვება. აფხაზეთისა და შიდა ქართლის წართმევის მუქარით ცდილობს თავისი ბატონობის შენარჩუნებას. მაგრამ მარტო ამით არ კმაყოფილდება და შორს გამიზნული, საოკუპაციო ჯარზე არანაკლები, ზემოქმედების ეკონომიკურ ბერკეტებს იმზადებს.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ეკონომიკის დეპარტამენტის მონაცემებით, გალატაკებულ რუსეთს 22 ლიცენზია აქვს აღებული საქართველოში, ხოლო მდიდარ გერმანიას - 24 და ა.შ. როგორც ვხედავთ, ღარიბი რუსეთი თანხას მცირეს დებს, მაგრამ ობიექტების სიმრავლეს ესწრაფვის; როცა მოძლიერდება, ამ ობიექტებსაც გააძლიერებს, რითაც ქვეყნის ეკონომიკაზე და თავისთავად პოლიტიკაზეც მოახდენს ზეწოლას.

მოვიყვანთ ყველაზე „მოკრძალებულ" მაგალითს; გაზეთი „ახალი თაობა" გვამცნობს, რომ შვიდი წლის შემდეგ საირმის წყლის ჩამომსხმელმა საწარმომ ახალი მეპატრონის, პეტერბურგელი ბიზნესმენის გია გვიჩიას წყალობით მუშაობა განაახლა, სადაც 50 ადამიანი დაასაქმეს და თითოეულს 100 ლარი აქვს. ძალიან კარგი, მაგრამ მორიდებით მაინც ეკითხებათ; ბატონი გია გვიჩია, რომელსაც საწარმოს აქციათა ნახევარზე მეტი, 51% ეკუთვნის, საქართველოს მოქალაქეა თუ რუსეთის.

ქართველო ბიზნესმენებო! ქვეყნის თავისუფლების ქვაკუთხედი, სულიერებასთან ერთად, ეკონომიკური სიძლიერეა. ნუთუ თქვენ არ შეგიძლიათ, თუ ცალ-ცალკე არა, გააერთიანოთ თქვენი შესაძლებლობები და შეიძინოთ საქართველოს საწარმოები. ამით თქვენც გამდიდრდებით და ქვეყანასაც ააყვავებთ. თანამედროვე და მომავალი თაობები ქებით და ლოცვით მოგიხსენიებენ.

გავიხსენოთ ნიკო ნიკოლაძის სიტყვები, თქვენი დიდი წინაპრის დავით სარაჯიშვილის შესახებ ნათქვამი: „აი, ისეთი კაცი, როგორც დავით სარაჯიშვილია, აღორძინებს ქართველ ერს და წინ წაწევს მის ეკონომიურ ძლიერებას."

*ბადრი ფხალაძე*

## სხვადასხვა ✵ სხვადასხვა ✵

### ექიმი



#### ყელის ტკივილი

ყელის ტკივილის წამლობისათვის ყველაზე ეფექტურ საშუალებას შემდეგი ხსნარი წარმოადგენს: ერთ ჭიქა ადუღებულ ცხელ წყალში ჩავყაროთ ერთი ჩაის კოვზი მარილი, ამდენივე სოდა და 7-8 წვეთი იოდი. ავურიოთ და ოდნავ გავაგრილოთ. ვივლოთ ყოველ ნახევარ საათში. ტკივილი საგრძნობლად იკლებს და ბოლოს სულ გაქრება

#### ხველების წამალი

ერთ ლიტრ რძეში ჩავაგდოთ ათი მარცვალი ყურძენი და წამოვადუღოთ. მივიღოთ თბილი ყოველ 10 წუთში. შედეგით ძალზე კმაყოფილი დარჩებით.

#### ნაღვლისა და ღვიძლის დაავადებისათვის

1,5 ლიტრი მდუღარე წყალი დავასხათ 10 ცალ ასკილს, 1 ს/კ სიმინდის ულვაშს და ამდენივე უკვდავას ყვავილს. მოვათავსოთ თავდახურულ ჭურჭელში, ეს უკანასკნელი ჩავდგათ წყლით სავსე უფრო მოზრდილ ქვაბში, დავადგათ ცეცხლზე და ვადუღოთ 15-20 წუთი.

მივიღოთ ჭამამდე 30 წუთით ადრე 100-150 გრამი.

ძლიერი შეტევებისას პროცედურა გავიმეოროთ ერთი თვის განმავლობაში. ხსენებული წამალი დიდი ხნის ნაცადი და უებარი საშუალებაა.

### დიასახლისი

#### ეკალა ნიგვზით

ეკალა დავარჩიოთ, გავრეცხოთ, ჩავყაროთ ადუღებულ წყალში, მოვხარშოთ, გადავიტანოთ საწურზე, დავასხათ ზედ ცივი წყალი ისე, რომ მას კარგად ფარავდეს. გავაჩეროთ 40 წუთი. ხელით გავწუროთ. დანაყილი ნიგოზი, ნიორი, წიწაკა, წვრილად დაჭრილი ქინძი, ძმარი, მარილი ავურიოთ მოხარშულ ეკალაში, დავდოთ თეფშზე და მოვაყაროთ დაჭრილი კამა.

მასალა:
ეკალა - 1კგ.
ნიგოზი - 1,5 ჩ/ჭ
ნიორი - 2,3 კბილი
მწვანილი - 3-4 ძირი
მარილი, წიწაკა, ძმარი - გემოვნებით



#### კომბოსტო ნიგვზით

კომბოსტო სათითაო ფოთლებად დავარჩიოთ, მოვხარშოთ და გაციების შემდეგ ხელით გავწუროთ.

ნიგოზი, ნიორი, ყვითელი ყვავილი, მარილი კარგად დავნაყოთ. დანაყილი ნიგოზი გავხსნათ ძმარში, დავამატოთ წვრილად დაჭრილი ქინძი, ოხრახუში, კამა, ომბალო. ავიღოთ კომბოსტოს ფურცლები სათითაოდ, თითოეულში გავახვიოთ მომზადებული ნიგვზის სატენი პატარ-პატარა ტოლმების მსგავსად და დავალაგოთ თეფშზე.

მასალა:
კომბოსტო - 1 კგ.
ნიგოზი - 1,5 ჩ/ჭ
ნიორი 2-3 კბილი
მწვანილი - 3-3 ძირი
წიწაკა, მარილი, ძმარი გემოვნებით

## კვიმატი

### ხუმრობენ ქუთაისელი „პიკასოს ბიჭები“



ორი სვანი ერთმანეთს:

- ყველაზე მეტად რომელი კინო მოგწონს?
- "ტიტანიკი"
- განსაკუთრებით რომელი მომენტი?
- რომელი და გემზე რომ არიან.

☺

ჭიჭიკია და ბიჭიკია ზღვაზე ისვენებენ
- ის წითელი რაა, ზღვაზე რომ ტივტივებს?
- რა და ბურთია, იმის იქით ზღვაში არ უნდა გახვიდე
- ის შავი რაღაა?
- მაგი ზანგია, იმაზე მეტად არ უნდა გაშავდე.

☺

ერთ-ერთ რადიოგადაცემაში ედუარდ შევარდნაძე მსმენელთა შეკითხვებს პასუხობს:

- მითხარით, როდის დაარიგებთ ხელფასებს, პენსიებს?
- სულ მალე, მალე, ნუ იდარდებთ
- როდის გვექნება შუქი?
- მალე, სულ მალე
- როდის დავბრუნდებით აფხაზეთში?
- თქვენ არასწორად აკრიბეთ ნომერი... თქვენ არასწორად აკრიბეთ ნომერი...

☺

- მოდით, ბიჭებო, ქართულ ენაში ნავიმეცადინოთ!
- დავაიც
- მე დავსვამ შეკითხვას და მიპასუხეთ, აბა რა არის:

მე ვუყურებ ჩვენ ვუყურებთ
შენ უყურებ თქვენ უყურებთ
ის უყურებს ისინი უყურებენ
- რა და ტელესერიალი.



გამომცემელი და მთავარი რედაქტორი
ტარიელ ფუტკარაძე

რედაქტორთა საბჭო:
მანანა ტაბიძე (დისკუსია), ლელა ხაჭაპურიძე (საზოგადოება), ეკა დადიანი (მეცნიერება), ონისე განძელაძე (ლიტერატურა), ილია ჭრელაშვილი (მხატვრობა), გიორგი აფრიდონიძე (სხვადასხვა ამბები)

რედაქციის მისამართი:
ქუთაისი, ჟუჟუნაძის 32
ტელ.: (8-231) 2-16-03
(8-22) 22-15-87
მობ.: (877) 47-69-30
ელ. ფოსტა: kuji@posta.ge

გაზეთი რეგისტრირებულია ქუთაისის საქალაქო სასამართლოში №12/5/ე-4818